

140 / 3
1957

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



ს. ი. მ. ბ. გ. დ. ე.

12
1951




პ ი ო ნ ე რ ი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის
უძველესი საბავშვო ჟურნალი

№ 12 დეკემბერი 1951 წელი
საბლიტგამი
წელიწადი XXV

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии



თბილისი. ქალთა 35-ე საშუალო სკოლის მე-7 კლასის მოსწავლე ნ. აბესაძე ფიზიკის კაბინეტში დაკვირვებას აწარმოებს მყარი სხეულების წონაზე.



ვახედე ამ მინდვრებს, ამ სერებს, ამ გორებს!
 შეისხი ფრთები და კამარა შეჭკარი,
 რამდენი ბალია, რამდენი სოფელი,
 რამდენი ქალაქი, ქედი და კლდეკარი,
 რამდენი ვენახი, რამდენი ტყე-ველი,
 რამდენი მდინარე, ბორცვი და ზეგანი!
 ვახედე ამ ქალაქს, ამ მაღალ ხარაჩოს,—აი, რას ვდარაჯობ!
 აი, რას ვდარაჯობ და მკერდით შევკარი
 ყოველი ბილიკი, გზები და კლდეკარი!

შეისხი ფრთები და იფრინე, იფრინე,
 მოველე ვრცელ მიწას, ვით ტალღებს თოლია,
 ეწვიე მაღალ მთებს, ნისლიან იალაღს,
 ნუ ფიქრობ, იქ მთებში ნისლი და თოვლია,
 მწყემსები უკრავენ ფანდურს და სალამურს,
 იხილე, რამდენი ცხვრის ფარა გვეყოლია!
 გალაღდი, იქ მთებში ცხოვრებას რაღა სჯობს,—

აი, რას ვდარაჯობ!




აი რას ვდარაჯობ და მკერდით შევკარი
 ყოველი ბილიკი, მთები და კლდეკარი!

ჩვენს დედებს, ჩვენს მამებს, მათ ნახნავს, მათ ნათესს,
 მათ დარგულ, მათ ნაშენ ქალაქებს ვდარაჯობ,
 ვდარაჯობ ამ ზავშეებს, ამ სკოლებს, ამ სოფლებს,
 ამ კაშხალს, მაღაროს, სასახლის ხარაჩოს,
 ვდარაჯობ სიცოცხლეს, სიხარულს, სიყვარულს
 თექვსმეტ ძმის, თექვსმეტ დის მშვიდობას ვდარაჯობ!
 რომ იყო მესაზღვრე, ამ სახელს რაღა სჯობს,—
 მშვიდობას ვდარაჯობ!

მშვიდობას ვდარაჯობ და მკერდით შევკარი
 ყოველი ბილიკი, გზები და კლდეკარი!



მირონ სარგულაძე
 მხატვარი გ. ლიპი



გეგვა ჭაბუკაიძე



ალიო პლაშია

მ ო თ ხ რ ო ბ ა *

მხატვარი შ. ცხადაძე

III

როგორც კი სადამოს სიგრილემ მოატანა, გული აუწრიალდა კობეს, მალ-მალე უხმობდა თამარს:

— გახედე გზას, ხომ არ მოდიან ყმაწვილები?

პასუხი კი ყოველთვის ერთნაირი იყო:

— არა, ჯერ არ ჩანან, მაგრამ სადაცაა გამოჩნდებიან, აბა, მთაში ხომ არ გაითევნენ ღამეს?

კობესა და თამარის საუბარში აივანზე შეუმჩნევლად ამოვიდა ზეზვას დედა საბედო. იგი ათი დღე სონების მთაზე იყო მწყემსებთან, სადაც ომალოს კოლექტივის ფარა საზაფხულო საძოვრებზე იმყოფებოდა. საბედო ისე მიესიყვარულა მოხუცს, გეგონებოდათ დიდი დრო იყო გასული, რაც არ ენახა, ხოლო ქალიშვილი გულში ჩაიკრა... ოთახში შემოსულმა ზეზვას რომ ვერ მოჰკრა თვალი, იფიქრა — უთუოდ მეზობლის ბავშვებთან თამაშობსო და შვილის ნახვას დანატრებულმა თამარს დაავალა ძმისთვის დაეძახხა.

გაშეშებული თამარი ხმას არ იღებდა. აი გახსნა ბაგე... მაგრამ კობემ დაასწრო, დაწვრილებით მოუყვა რძალს, სადაც იყო ზეზვა.

ერთთავად გაუხარდა საბედოს, რომ მისი პატარა ვაჟიშვილი უკვე ასეთ ვაჟკაცურ საქმეს ბედავდა, თან შეეშინდა, მოულოდნელად შეკრთა, ხმა არ გაუტია კობესათვის, ისე შებრუნდა სახლში.

* * *

მზის სხივი ოხაეტის მწვერვალს ეთამაშებოდა, როცა რევაზი ომალოში ამოვიდა.

* დასასრული. დასაწყისი იხ. ყურ. „პიონერის“ № 11-ში.

კვირა დღე იყო და კოოპერატივის წინ ჩვეულებრივზე მეტი ხალხი იყო თავმოყრილი.

რევაზმა შორიასლოდან შეათვალიერა კოოპერატივის წინ თავმოყრილი და როცა მათ შორის ზეზვა ვერ შეამჩნია, ჩქარი ნაბიჯით გასწია ჭაბუკაიძის სახლისაკენ.

სულმოუთქმელად აიარა აღმართი. სახლს მიახლოებულმა აივანზე მჯდომი მოხუცი რომ დაინახა, შიშმა აიტანა, უკან გამობრუნება დააპირა, მაგრამ დაყურადებულმა მოხუცმა როგორც კი ნაბიჯის ხმა გაიგონა, წამოდგა და ჩვეულებრივი სიღინჯით გამოსძახა:

— მოხვედი, ბიჭო ზეზვა? რად დაგაგვიანდა აგრერივად?

რევაზი გაიტრუნა. ხმის გაცემა ეუხერხულა, შენელებული, ფრთხილი ნაბიჯით აპყვა კობეს, ხოლო როცა მოხუცმა თითქოს საყვედურის კილოთი წარმოთქვა: განა ისე დაილაღე, ბიჭო, რომ პასუხის გაცემა გეძნელებოა, მამინ ალაპარაკდა რევაზი.

— ზეზვა... ზეზვა შუადღისას დამშორდა... — ამოილულულა რევაზმა და უამბო კობეს, რაც მოხდა.

ელანაცემივით დაეშვა სკამზე მოხუცი. აივანზე საბედო და თამარი გამოვიდნენ.

დედის სახეზე შიში აღბეჭდილიყო, იგი თვალდაფეთებით სკვირდებოდა ამ უცხო ყმაწვილკაცს. თუმცა რევაზი თავჩაქინდრკილი იდგა მის წინ, საბედო მაინც ხედავდა რევაზის გაცეცხლებულ თვალებს და გრძნობდა მის გულისწუხილს.

ახლოს მივიდა ზეზვას დედა რევაზთან. მართოლვარე ხელებით ნელა აუწია თავი, თვალებში ჩახედა და შიშდაკრული ხმით ჰკითხა:

— ტყეში დაშორდით, შვილო, ერთმანეთს? დიდი ხანია, რაც დაშორდით?

რევაზმა სიტყვა-სიტყვით გაიმეორა ის, რაც კობეს უამბო, ოღონდ ხმა უფრო გაბზარული ჰქონდა...

არ დაიბნა მოხუცი, იგი მძიმედ წამოდგა ზეზე, ჩაახველა, აივნის მოაჯირს გადმოყვარნო და სოფელს გასძახა:

— მეზობლებო, ჰაი, მეზობლებო, ჩემი ზეზვა მარტოდაა დარჩენილი ტყეში!— მომეხმარეთ, მომიძებნეთ ზეზვა...

IV

კობე ჭაბუკაიძის სახლთან მალე თითქმის მთელმა სოფელმა მოიყარა თავი.

ზაფხულობით თუში ვაყვაცები შორეულ საძოვრებზე იმყოფებიან, ამის გამო შეკრებილთა შორის უმრავლესობა მოხუცი მამაკაცები, ქალები და ბავშვები იყვნენ.

გადაწყდა ახლავე მიმოეხილათ ახლომანლო ხეები.

ახალი შეღამებული იყო. ამინდი შეიცვალა, მწვერვლებიდან ცივმა ქარმა დაბერა, მოიღრუბლა და წვიმა წამოვიდა.

მიუხედავად ცუდი ამინდისა, ანთებული ჩირაღდნებით დაიძრნენ ომალოდან, სოფლის ბოლოში ოთხ ჯგუფად განაწილდნენ და სწრაფად დაეშვნენ ხეებისაკენ.

შინ მარტოდ დარჩა კობე ჭაბუკაიძე.

საბედო, თამარი და რევაზი იმ ჯგუფში იყვნენ, რომელსაც ღრმა ხევი უნდა მიმოეხილა.

ყველაზე წინ საბედო მიდიოდა, შვილის ნახვას ესწრაფოდა დედის გული, იგი არ უკრთოდა ამ სიბნელესა და წვიმას, არც უგზობობას... ანთებული ჩირაღდანი ეჭირა მარჯვენა ხელში, მარცხენათი კაბა ჰქონდა აკალთული და ხმამალა გასძახოდა:

— ზეზვა—ა—ა! ხმა გამეცი, შვილო, დედა გეძახი...

V

დავუბრუნდეთ ისევ ზეზვას.

როცა ყმაწვილი იმ ადგილზე მივიდა, რომელიც მან უფრო მოხერხებულად მიიჩნია ხევში ჩასასვლელად, იმედი გაუცრუვდა.


ხევის ეს მხარეც მეტად შეუვალი იყო, სველიც, ერთადერთი უპირატესობა ღრმა ხევთან შედარებით ის იყო, რომ აქა-იქ ხორხლიანი ლოდები ჩანდა, რომლებზედაც შეიძლებოდა ფეხის მომაგრება.

იმედი თავდაპირველად შეეცადა ხევში ჩარბენას, მაგრამ ხევის პირთან უცებ შედგა, წინანდებურად გაწევა მიწაზე, კისერი

წაიგრძელა და ხევს ჩახედა, ჩაჰყეფა და ხონებით გამოიწია უკან.

ახლა ზეზვას გარკვევით შემოესმა მიწის საპასუხო ყეფა.

ხმა შორეული იყო, პირდაპირ ხევისძარიდან მოდიოდა. ბიჭმა ძელქვას ტოტი წააქრა, ერთი თავი წაუწვეტიანა, ხევს გადახედდა და ჯოხით ნიადაგი მოსინჯა. წაწვეტიებული ჯოხი ადვილად ჩაერჭო მიწაში. ფრთხილად გადადგა პირველი ნაბიჯი, მეო-



ანთებული ჩირაღდნებით დაიძრნენ ომალოდან...

რე... მერე ჯოხი უფრო ქვემოთ გადაანაცვ-
ლა და ასე მოხერხებულად თანდათან მი-
იწვედა ქვევით.

იმედი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა პატრონის
ნაკვალევს.

ალაზნის ნაპირები მოყინული ჩანდა, მხო-
ლოდ მდინარის შუაწელი იყო ლანქერიანი,
დგაფა-დგუფით მიაქანებდა ყინულის ზო-
დებს და მიმქუხარებდა.

დღე შეუძმნევლად მილეულიყო.

სიბნელე მოიპარებოდა ხევში.

შესვენების დრო არ იყო.

ზეზვა წვალებით განაგრძობდა ფორთხვას.
აი, თითქმის ჩაადწია ხევის ძირამდე, მაგრამ
უცებ მარჯვენამ უმტყუნა, სწრაფად ვერ
მოიმარჯვა ჯოხი, ყინულზე აუსხლტა ფე-
ხი... თვალი დაუბნელდა...

ზეზვა ხევში ჩაეშვა, იმედიც თან მიჰყვა.

* * *

ზეზვამ თვალი რომ გაახილა, ოდნავ წა-
მოსწია თავი. ერთგული მეგობარი მის ფე-
ხებთან იწვა და წკმუტუნებდა.

ზეზვამ მარჯვენა ხელი ფრთხილად აამოძ-
რავა. ჯერ მკერდზე მოისვია, მერე მარჯვენა
ფეხის მუხლთან მიიტანა; სისველე იგრძნო,
უფრო წამოსწია თავი და მუხლისთავს და-
აცქერდა—სისხლით ჰქონდა მოსვრილი...
მუხლი კი მთელი ჰქონდა. გაუკვირდა. ახლა
იმედს დახედა. ძაღლს თავი გასისხლიანებუ-
ლი ჰქონდა. ზეზვა მიხვდა, თუ რისთვის
იყო მისი მუხლი სისხლით მოსვრილი:
ძაღლს უთუოდ ლოდზე დაცემისას თავი
დასავეებოდა.

დაბეჭილი იყო ყმაწვილი, სხეულის ყველა
ნაწილი თითქმის თანაბრად სტკიოდა, მომე-
ტებულად უცემდა გული. წამოდგა. იმედს
თავზე გადაუსვა ხელი, წყალთან მიიყვანა
და წყლით მობანა კრილილა.

ცივმა წყალმა ტკივილი განუახლა იმედს,
შეიყვია და ზეზვას გაშორდა... და მოუ-
ლოდნელად იმედის ყველას სულ ახლო მან-
ძილიდან გაეხმინა ძაღლის წკავწკავი... ამ
წკავწკავმა ზეზვას ძალა შემატა. წამოდგა
და ჩქარი ნაბიჯით გაემართა იმ ადგილისა-
კენ, საიდანაც ძაღლის წკავწკავი მოესმა.
იმედიც უკან დაედევნა.

* * *

იმედმა ახლო მანძილიდან თვალი მოჰკრა
მიწაზე გართხმულ მგელს. მარდი ნახტომით
ზედ დააცხრა, მაგრამ მგელმა წინააღმდეგო-
ბა რომ არ გაუწია, მყისვე გაშორდა მას.

ზეზვაც მივიდა, ირგვლივ მიმოიხედა. ერთ
ადგილას ცხვრები მიყუჟულიყვნენ, იქვე
ძაღლი იწვა,—ეს იყო გულბათი. ზეზვა

ძაღლს მიეაღერა, მაგრამ ამ ჰკვიან ცხო-
ველს წამოდგომა გაუჭირდა, ცალი ფეხი
სტკიოდა. მას მგელთან დიდი ბრძოლა
დახდა. მგელი დაეხრჩო და ახლო გამოიკვეთა
ბული იწვა. ძაღლი ხან ზეზვას უმწერდა და
ხან ცხვრებს, თითქოს ანიშნებდა ბიჭს: აი,
ხომ გადავარჩინე ცხვრებო. გაუხარდა ზეზ-
ვას. იპოვა ცხვრები, მხოლოდ ერთი ცხვარი
იყო მკვდარი. იგი ყმაწვილმა მგლის გაგუ-
ღულად მიიხნია და გაატყავა.

ღამდებოდა. ამინდი შეიცვალა. ცივმა ქარ-
მა დაბერა და მთების მწვერვალებზე ღრუბ-
ლები აიშალა.

ზეზვამ ხალათი გაიხადა, პერანგს სახელო
მოაჭრა და გულბათს დამავებული ფეხი
შეუხვია, ზურგზე გადაუსვა ხელი და წამო-
აყენა, მაგრამ ძაღლს ნაბიჯის გადადგმა გა-
უძნელდა. ცხადი იყო, ხევიდან ამოსვლას
ვერ შეესძლებდა.

ზეზვამ გადაწყვიტა ცხვრები და გულბა-
ათი აქ დაეტოვებინა დროებით, თვითონ
იმედთან ერთად ასულყო ზევით, ეპოვნა
რევანი და სოფლისათვის შეეტყობინებინა
ეს ამბავი...

მაგრამ სონების მთიდან წამოცურებული
შავი ღრუბლები ხევის თავზე გაიშალა,
უცებ ჩამოწვა სიბნელე, ზედიზედ გაიღვია
და კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

ადიდება იწყო ალაზნამა.

ხევხუეებს ზათქითა და ზრიალით მოედო
ნიაღვარი, რეცხდა ფერდობებს, ღორღი ჩა-
მოჰქონდა მდინარეში.

ერთადერთი გამოსავალი იპოვა ზეზვამ:
ერთ დიდ ლოდს მეორე ასეთივე დიდი ლო-
დი ჰქონდა მალლიდან გადმოხურული და
ჩინებულად იფარავდა წვიმისაგან. ზეზვამ
სათითაოდ აიყვანა ცხვრები ამ ლოდზე,
გულბათიც როგორღაც აფოფხდა. მერე
თვითონაც იმედთან ერთად იქ მოთავსდა.

ელავდა. ქუხდა. წვიმდა.

მთელი ღამე ამაოდ ელოდა ზეზვა ჭაბუ-
კაიძე გამოდარებას.

* * *

... და მთელი ღამე ამაოდ უხმობდა საბე-
ლო შვილს!

ფერდობიდან ფერდობზე, ტყიდან ტყეში
გზას მიიკვლევდნენ მძებნელნი, კანტიკუნ-
ტად და გაბმულად გასძახოდნენ სიბნელეში
და არსიდან ისმოდა პასუხი.

მიიწურა ივნისის მოკლე ღამე. ჩადგა ქა-
რი, ცამ ღრუბლები გადაიყარა, წვიმამ
იკლო.

იმედივით ამონათვა გარიყრაჟმა, და სწო-
რედ განთიადისას, დილის ბინდბუხნში, რო-
ცა ქარი სავსებით ჩადგა და წვიმა შეწყდა,

დედის ხმა გაიგონა ზეზვამ, მაგრამ უმაღ-
ვე გაახსენდა, რომ დედამისი ომალოში არ
იმყოფებოდა...

როცა ძახილი განმეორდა, მაშინ აშკარად
შეიცნო ზეზვამ დედის მითრთოლვარე ხმა,
ზეზე წამოიჭრა და რაც ძალი და ღონე
ჰქონდა გამოსძახა:

— ჰოო, აქა ვარ, დედა!

* * *

ავგისტოს მიწურულის ერთ მზიან დღეს,
შუადღისას, სოფელ ომალოს სკოლის ეზო-
ში თეთრი ცხენი შემოაჭენა ჭაბუკმა.

ეს იყო ბერიას სახელობის კოლმეურნეო-
ბის ფერმის გამგე ღვთისო ქააძე.

ღვთისომ დინჯი ნაბიჯით აიარა სკოლის
კიბე.

სკოლაში მხოლოდ დირექტორი და თამა-
რი იყვნენ.

სტუმარი მოკრძალებით მიესალმა მათ,
მოიბოდიშა — მუშაობაში ხელი ხომ არ შე-
გიშალეთო, და სთხოვა, თუ მოსახერხებელი
იყო, სკოლაში ეხმობ მოსწავლე ზეზვა ჭა-
ბუკაძე.

დირექტორმა და თამარმა ახედ-დახედეს
სტუმარს; მათთვის უცნობი იყო ეს ჭაბუკი.

— სადაცაა ჩვენი მწყემსები ფარას შემო-
რეკავენ ომალოში, — განაგრძო ჭაბუკმა, —
აქ დარჩენა არ შეგვიძლია და ის ყმაწვილ-
კაცი, რომელმაც ჩვენი ცხვარი დაღუპვას გა-
დაარჩინა, გვინდა დავაჯილდოოთ და მის
აღმზრდელებს მადლობა გამოვუცხადოთ.

სკოლის დირექტორი ღიმილით მიუახლოვ-
და ღვთისოს, მხარზე დაჰკრა ხელი და ღიმი-
ლითვე უთხრა:


— ეს ქალიშვილი იმ მოსწავლის დაა,
ახლავე წავა შინ და ზეზვას მოიყვანს.

...სულ რამდენიმე წუთის შემდეგ ომა-
ლოელებმა ნელ-ნელა იწყეს სკოლის ეზოში
თავმოყრა.

როცა თამარი და ზეზვა შემოვიდნენ სკო-
ლის ეზოში, ღვთისო მათ მიეგება და მაგრად
ჩამოართვა ხელი ზეზვას.

ხალხი ღიმილით შესცქეროდა ამ სურათს.
გამოჩნდა ურიცხვი ცხვრის ფარა.

წინ რქაკაუჭა და გულბაათი მოდიოდნენ.
ერთი შეხედვით ეს თითქოს განგებ იყო ასე
მოწყობილი. წაბლისფერ ცხენზე იჯდა ხე-
სურა. გვერდით რევაზი მოათამაშებდა ცხენს
და როცა ყმაწვილმა სკოლის ეზოში თავმოყ-
რილი ხალხი დაინახა, გულმა არ მოუთმინა,
ბრიგადირს წინ გაუსწრო და ჰენებით ჩაირ-
ბინა დაღმართი.



...ღვთისო მათ მიეგება და მაგრად ჩამოართვა
ხელი ზეზვას.

ზეზვამ შორიდანვე შეიცნო რევაზი და
მისკენ გაქანდა; ხოლო ახლოს რომ მივიდა,
უცებ შედგა, თვალები ძირს დახარა, რა-
ტომღაც დაიმორცხვა, მაგრამ უმაღვე გათა-
მამდა და რევაზს თამამად გაუწოდა ხელს.
სახეგაბრწყინებული რევაზი გადაეხვია
მეგობარს, მერე მკლავში წაავლო ხელი და
სკოლის აივანზე აიყვანა.

საბედო და კობე მაშინ შემოვიდნენ სკო-
ლის ეზოში, როცა ღვთისომ საველე ჩანთი-
დან ქალაღლი ამოიღო და მისი მჭექარე ხმა
დაიარხა:

— სოფელ ზემო ალვანის ლავრენტი
ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მწყემ-
სები კოლმეურნეობის სახელით დიდ მად-
ლობას უძღვნიან ომალოს სკოლის მასწავ-
ლებლებს და პიონერულ ორგანიზაციას, რო-
მელთაც თავიანთ სკოლაში აღზარდეს უში-
შარი და ამხანაგისათვის თავდადებული ყმა-
წვილი ზეზვა ჭაბუკაძე!


...ზეზვა ჭაბუკაძემ დაღუპვას გადაარჩი-
ნა ჩვენი კოლექტივის თორმეტი ცხვარი და
უშიშარი მწყემსი ძალღი გულბაათი.

...ზეზვა ჭაბუკაძის საქციელი მაგალითი
უნდა ვახდეს ყველა მოსწავლისათვის.

ერთხელ კიდევ მადლობას ვუხდით ზე-
ვას მშობლებს, მის აღმზარდელ მასწავლებ-
ლებს, მის ამხანაგებს და კოლექტივის სახე-
ლით ზეზვა ჭაბუკაძეს საჩუქრად ვუტოვებთ
ჭედილას, საღამურს და მისთვის საგანგე-
ბოდ მოთევილ ნაბადს...

ღვთისოს სიტყვებს ტამის ქუხილი შეაგე-
ბა ხალხმა.

მეგობრებმა ხელში აიტაცეს ზეზვა.
დედის ლოყებზე ცრემლი ბრწყინავდა...
ეს იყო სინარულის ცრემლი.



შემოალო ბაღის კარი,
 შემოუძღვა დედას.
 უხარია პაწაწინას —
 უამრავ ხალხს ხედავს.
 ხალხს შესცინის, თან დედასთან
 ტკბილ საუბარს აბამს,
 ქარი ურხევს ყვაფილებით
 შემოქარგულ კაბას.
 — აი, მამა! — უცნობისკენ
 გაიშვირა ხელი,
 დედა შეკრთა, წყრომით პირმშოს
 მიაძახა: — ნელი!
 ბავშვიც შეკრთა, იგრძნო შეცდა,
 დაირცხვინა თითქოს,
 მაგრამ მაინც ვერ ისვენებს,
 კვლავ მამაზე ფიქრობს.
 ნუთუ მართლა ამდენ ხალხში
 მამიკოს ვერ ნახავს!



სად წასულა მამამისი,
 რატომ თან არ ახლავს?
 — მამა, მამა! — კვლავ შეცდომით
 მიაძახა უცნობს...
 რა ქნას, მამა ენატრება,
 მამას ეძებს, უხმობს.
 ჰა, ბელადის ქანდაკებას
 თვალი მოჰკრა უცებ,
 გარბის, გული პაწაწინას
 გამალებით უცემს.
 — მამა, მამა! — დაიძახა,
 მიუბრუნდა დედას,
 რარიგ ხარობს, რომ დედიკოს
 გაღიმებულს ხედავს...
 და დედიკო თავის პირმშოს
 ეუბნება ლხენით:
 — დაიხსომე, გენაცვალე,
 ის მამაა ჩვენი.

ოქანას კარაიანი

თარგმანი ი. ბურჯულაძისა



ქ. გორის ქალთა 1-ლი საშუალო სკოლა. პიონერები პიონერთა ოთახში ალბომებს ამზადებენ მოძმე რესპუბლიკების ბავშვებისათვის გასაგზავნად.

მ ე გ ო ბ რ ე ბ ი ს მ ი მ ო წ ე რ ა

მთავიდან მთავრამ ახალგაზრდა ქალს ხელში ოცამდე გაუხსნელი კონვერტი ეჭირა.

— საჭიროა ამ წერილების წაკითხვა და მათი გამოგზავნებისათვის პასუხის დროზე გაგზავნა, — თქვა მან და ოთახში მყოფთ გადახედა.

აქ იყო რამდენიმე ვაჟი. ერთი მათგანი ახალი მემოსული იყო და ფეხზე იდგა.

— ეს წერილები დღეს მიიღეთ? — იკითხა მან და კონვერტები შეათვალიერა.

— დღეს მივიღეთ, — უპასუხა ქალმა.

ეს საუბარი საქართველოს ალკკ გორის საქალაქო კომიტეტის სასკოლო-პიონერულ განყოფილებაში მიმდინარეობდა.

მოსწავლეთა მრავალი წერილი მოდის აქ ყოველდღიურად ჩვენი მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების სკოლებიდან და კომკავშირული ორგანიზაციებიდან. მოძმე რესპუბლიკების ბავშვებისაგან წერილებთან ერთად ალბომებსაც ღებულობენ გორის სკოლები.

იმ ქალაქთან, სადაც დაიბადა დიდი სტალინი, ყველა ქვეყნის ბავშვებს სურთ

ჰქონდეთ გულთბილი კავშირი, სურთ ამ ქალაქიდან ღებულობდნენ საპასუხო წერილებს, რომლებშიც მოთხრობილი იქნება მათთვის ზოგი რამ ახალი ბელადის ჭაბუკობის წლებზე, მოთხრობილი იქნება, თუ როგორ იზრდებოდა და მშვენიერდებოდა გორი, თუ როგორ ცხოვრობენ და სწავლობენ გორის პიონერ-მოსწავლეები.

გორი ყველა ქვეყნის მშრომელთა და მათი შვილების საყვარელი ქალაქია.

გორის პიონერ-მოსწავლეებიც ცდილობენ წარჩინებული სწავლითა და ყოფაქცევით ღირსეულად ატარონ ის საბატიო სახელი, რომელიც ბელადის სამშობლო ქალაქის — გორის მკვიდრთ შეეფერება. ისინი გულთბილ ბარათებს სწერენ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების პიონერ-მოსწავლეებს, სახალხო დემოკრატიული ქვეყნების ბავშვებს, სწერენ ბელადის ჭაბუკობის წლებზე, გორის ახალ მშენებლობებზე, თავიანთ წარჩინებაზე სწავლაში. წერილებთან ერთად მოძმე რესპუბლიკებისა და შეგობარი ქვეყნების ბავშვებს უგზავნიან ქალაქ გორისა და გორის რაიონის ღირსშესანიშნავი ადგი-



ლების ფოტოსურათებით დამშვენებულ ალბომებს.

შევიხედოთ სკოლებში, სადაც ეს პიონერ-მოსწავლეები სწავლობენ.

აი ქალაქ გორის ქალთა 1-ლი საშუალო სკოლა. სკოლის შენობის ფასადი სტალინის პროსპექტს გაჰყურებს. ამ შენობის შიგნით მჩქეფარე სასკოლო ცხოვრება დუღს. მასწავლებლები, დირექტორის ვერა ჩიკოიძის თაოსნობით, სიყვარულით დასტრიალებენ მოსწავლეებს, გაკვეთილებს პედაგოგიური ხელოვნების მაღალ დონეზე ატარებენ, და სკოლასაც ბევრი წარჩინებული მოსწავლე ჰყავს.

მასწავლებლები ენერგიულად ეხმარებიან პიონერულ რგოლებსა და რაზმებს მუშაობაში. უფროსი პიონერხელმძღვანელი მკაცრად იორამაშვილი მადლიერების გრძობით ლაპარაკობს მასწავლებელთა ამ საქმიანობაზე. მათი რჩევით რაზმეულის საბჭომ მიმდინარე წლის შემოდგომაზე 19 პიონერს მისცა რეკომენდაცია კომკავშირში შესასვლელად. გასულ სასწავლო წელს მასწავლებლებისა და პიონერული ორგანიზაციის აღმზრდელობითი მეცადინეობის შედეგად 59 წარჩინებული პიონერი იქნა მიღებული კომკავშირში.

პიონერული რაზმების საბჭოები (სულ 9 რაზმია) ცდილობენ რაზმების შეკრებები მეტი მიმზიდველი და შინაარსიანი იყოს. საკავშირო ალკვ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის დადგენილებიდან მათ იციან, რომ შეკრებებს არ უნდა ეძლეოდეს მხოლოდ კრებების ხასიათი. და, აი, მესამე რაზმმა თავის ერთ-ერთ შეკრებაზე განიხილა ოლეგ კოშევის დედის — ელენე კოშევიას წიგნი „ჩემი ვაჟიშვილის ამბავი“; მესუთე რაზმმა მოაწყო შეკრება თემაზე „დიდი სტალინის ჭაბუკობის წლები“; მეორე რაზმმა საინტერესოდ ჩაატარა შეკრება თემაზე „ჩვენი საყვარელი გმირები“, ალექ-

სანდრე ფადეევის ცნობილი რომანის „ახალგაზრდა გვარდიის“ მიხედვით შეკრება დასრულდა კინოსურათ „ახალგაზრდა გვარდიის“ ჩვენებით.

საკავშირო ალკვ ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმის დადგენილების შესწავლასთან დაკავშირებით სკოლაში ჩამოყალიბდა წიგნების ამკინძველთა წრე და ხელსაქმის წრე. ეს მეტად კარგი წამოწყებაა, ამ წრეებში მუშაობით ბავშვები ეჩვევიან ფიზიკურ შრომას და ფიზიკური შრომისადმი სიყვარულს. პიონერთა ოთახს ამშვენებს ხელსაქმის წრის წევრების ნამუშევრები — ტილოზე ნაქარგები.

მომხმე რესპუბლიკის ბავშვები თავიანთ წერილებში სთხოვენ გორელ პიონერებს გააცნონ მათ დიდი სტალინის ჭაბუკობის წლების ისეთი ეპიზოდები, რომლებიც წიგნებით ნაკლებად ან სულ არ არის ცნობილი. გორელი პიონერებიც, ნაწილობრივ, ახერხებენ დააკმაყოფილონ წერილების ავტორთა სურვილები იმ მოხუცების დახმარებით, რომელთა თვალწინ გაიარა სტალინის ჭაბუკობის წლებმა.

საინტერესოა სკოლაში მიღებული ალბომები. გავეცნოთ ზოგ მათგანს.

აი, საბჭოთა უკრაინის დედაქალაქის — კიევის ქალთა 109-ე საშუალო სკოლის პიონერ-მოსწავლეთა მიერ გამოგზავნილი ალბომი „კიევის ღირსშესანიშნავი ადგილები“. ალბომში სუფთადაა განლაგებული კიევის ისტორიული ძეგლებისა და თანამედროვე დიდ ნაგებობათა ფოტოსურათები. ყურადღებას იპყრობს იმავე სკოლის პიონერ-მოს-



ქ. გორის ფოთა 1-ლი საშუალო სკოლა. მოსწავლეები ფიზიკის კაბინეტში აწარმოებენ ხახუნის კოფეციენტის გამოთვლას.



წავლევების მიერ შედგენილი ჰერბარიუმი. ჰერბარიუმში სათუთად არის ჩაკრული კიევის მიდამოებისათვის დამახასიათებელი მცენარეულობის ნიმუშები. ყველა ნიმუშს სათანადო წარწერა აქვს.

სიყვარულით შეუდგენიათ ალბომი და გორის ქალთა პირველი სკოლისათვის გამოუგზავნიათ საბჭოთა კარელია-ფინეთის დედაქალაქის — პეტროზავოდსკის ქალთა მე-8 საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელებს. ალბომი სამი განყოფილებისაგან შედგება. პირველ განყოფილებაში წარმოდგენილია ფოტოსურათები: პეტროზავოდსკის ქალთა მე-8 საშუალო სკოლის შენობა, სასკოლო ნაკვეთი, სკვერი სკოლის წინ, სასკოლო ნაკვეთზე მხოწეული სხვადასხვა ბოსტნეული, წარმოდგენილი სასკოლო გამოფენაზე, და სხვ... მეორე განყოფილებაში მოცემულია ძველი პეტროზავოდსკის დამახასიათებელი ფოტოსურათები — ქალაქის დამაარსებლის პეტრე I-ლის ძეგლი, სამასწავლებლო სემინარიის შენობა, ტაძარი, ძველი ქუჩა დაბალი სახლებით... ალბომის მესამე განყოფილება წარმოდგენას გვაძლევს ახალ პეტროზავოდსკზე. აქ არის ახალ ნაგებობათა, ახალი ქუჩებისა და მოედნების, სკვერებისა და საცხოვრებელი სახლების ფოტოსურათები.

ასევე ღებულობენ მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ბავშვებისაგან წერილებსა და ალბომებს გორის სხვა სკოლებიც.

ვაჟთა 1-ლი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა მოსკოვის ქალთა 76-ე საშუალო სკოლის მოსწავლეებისაგან მიიღეს წიგნები სასკოლო ბიბლიოთეკისათვის. ჩეხოსლოვაკიის სახალხო დემოკრატიული რესპუბ-

ლიკის ქალაქ ტრეებეჩის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა გორელ ბავშვებს გაგზავნეს საქმის ცოდნით შედგენილი დამახასიათებელი ალბომი. ალბომში წარმოდგენილია ტრეებეჩის ძველი ხუროთმოძღვრების გამოჩნატველი ფოტოსურათები.

გორის ვაჟთა საშუალო სკოლა ერთ-ერთი მოწინავე სკოლაა. დირექტორი ვასილ ძველია მამობრივი მზრუნველობით თავს დასტრიალებს ბავშვებს. მას ენერგიულად გვერდში უდგანან სასკოლო ცხოვრების ენთუზიასტი მოსწავლეები. მათი მთელი ყურადღება იქითაა არის მიქცეული, რომ აღზარდონ სამშობლოს მოყვარული, კომუნისტური კულტურული მშენებელი ახალგაზრდები. მოსწავლეებმა სწავლისადმი მკაფიო ინტერესი რომ გამოიჩინონ. სკოლაში შემოღებულია წესად ყოველკვირეული შედეგების (ნიშნების) გამოკვრა თვალსაჩინო ადგილას, ჩარჩოში. რომელიმე მოსწავლე რომორც კი ორიანს მიიღებს, ამის შესახებ ეცნობება მის მშობლებს; მშობლებს იწვევენ პიონერული რაზმის შიკრიბაზე. სადაც რომელიმე საგანში მათი შევლიების წარუმატებლობის მიზეზებს იხილავენ.

სოციალისტური სამშობლოსა და დიდი სტალინისადმი სიყვარულის სულისკვათებით იზრდებიან გორელი პიონერ-მოსწავლეები. ამ სიყვარულმა შთააგონა ვაჟთა 1-ლი სკოლის მოსამიკოსოს გივი ქალიაშვილს გაეკეთებინა იმ სახლის მაკეტი, რომელშიც 1879 წლის 21 დეკემბერს დაიბადა დიდი სტალინი. ეს ნიჭიერად შესრულებული მაკეტი ამჟამინდელ ვაჟთა 1-ლი სკოლის პიონერთა ოთახს.

რ. ბარათაილი

ქუჩა ილიკაძევი
თურქმენი პოეტი



მასწავლებლებ ქაღს

ენი სიტყვა, იადონის ენით თქმული, ყველა ჩვენგანს გულში ლაღად ჩაუფრინდა. სადაცა ხარ, სადაც წახვალ,—ჩვენი გული თან მიგყვება აუღიდან.

შენი შრომა გზის მნათობად გახდა უკვე და ცხოვრების ფართო გზაზე ვიწყებთ ფრენას. მშობელივით ძვირფასი ხარ, რადგან თურქმენთა შენ გვასწავლი რუსულ ენას.

თარგმანი **მეფიან მურადიანისა**



ინდოეთში დიდი გვალებით გამოწვეული მოუსავლიანობის გამო საბჭოთა კავშირმა ინდოელ ხალხს რამდენიმე გემი ხორბალი გაუგზავნა საჩუქრად.



ინდრამ დატოვა მწირი სოფელი,
ცოლი და შვილი, ეზო, სახლკარი,
ერთი თვე არის დაძრწის ქალაქში
შიმშილისაგან თვალეზამწვარი.

„პური“ — გაისმის ირგვლივ ფოდება,
შავრამ ნატეხიც არსად არ არის,
რადგან გემები ამერიკული
ინდოეთს ავსებს ტყვია-წამალით.

რამდენი გაწყდა შიმშილისაგან,
გადაეფარა ქალაქს სუღარა...

არ ენადვლებათ მაძღარ ბატონებს
მშვიერი ხალხის კენესა, მუღარა.

და, აი, ერთხელ ნავსადგურისკენ
დაიძრა ხალხი მშვიერ-მწყურვალი.
გემი მოვიდა, პურით მოვიდა,
არა ცეცხლით და არა ყუმბარით.

ინდრას სიზმარში იგონა თავი:
გემზე ხორბალი ზევად ეყარა!
...იქ ინდოეთის ჩავრულ მეგობრებს
სავსე ხელს უწვდის ჩვენი ქვეყანა.


კეთილი გულით გამოგზავნილა
ყველგან გამოცხვა პური ქალაქში.
ხალხი ეხვევა ჩვენს მეზღაურებს:
— მაღლობა ყველას თქვენს ქვეყანაში!

ინდრამაც სახლში წაიღო პური,
გამოჩნდა ეზო ღობემოშლილი.
„პური... სად იყო, ვინ მოგვცა პური?“ —
შემოეხვია წვრილი ცოლ-შვილი.

უბე გაიხსნა ინდრამ და სურათს
თითქოს ამოჰყვა შუქი და სითბო...
და პურთან ერთად შორეულ ჩონში
დიდი სტალინი შევიდა თვითონ.

გეჟან ბარაკველიძე

მხატვარი კ. მახარაძე





არკადი გაიღარი

მხატვარი ი. კალაძე



მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს შესრულდა ათი წელი, რაც სამამულო ომის ფრონტზე, სამშობლოსათვის თავდადებულ ბრძოლაში, გმირულად დაეცა ცნობილი რუსი მწერალი არკადი პეტრეს ძე გაიღარი (ვოლკოვი).

არკადი გაიღარმა არც თუ იცხვ ბევრის დაწერა მოასწრო, მაგრამ მისი ისეთი ნაწარმოებები, როგორცაა „რ ვ ს“, „სკოლა“, „შორეული ქვეყნები“, „სამხედრო საიდუმლოება“, „მედოლის ბელი“, „ჩუკი და გეკი“, „ციხფერი ფინჯანი“, „თემური და მისი რაზმი“ მუდამ დარჩება მოზარდი თაობის საყვარელ ნაწარმოებებად. განსაკუთრებული პოპულარობა მოუხვეჭა გაიღარს წიგნმა „თემური და მისი რაზმი“, იგი იქცა საბჭოთა ბავშვების საყვარელ წიგნად და ისეთი სახელი მოიპოვა, როგორც თითქმის არც ერთ საბავშვო წიგნს არ ღირსებია. თემურის დიდება გასცდა ლიტერატურის ფარგლებს, სტიქიურად, ბავშვთა ინიციატივით წარმოიშვა კეთილშობილური მოძრაობა, რომელსაც გაიღარის გმირის სახელის მიხედვით „თემურელთა მოძრაობა“ ეწოდა. გაიღარმა ბავშვებს უჩვენა უბრალო და კეთილი გზა, რომლითაც პატარა პატრიოტებს შეუძლიათ საქმით დაუმტკიცონ სამშობლოს, ხალხს თავიანთი უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება.

არკადი გაიღარს უსაზღვროდ უყვარდა თავისი სოციალისტური სამშობლო და აქეთკენვე მოუწოდებდა თავის პატარა მკითხველებსაც. „უნდა იცხოვრო პატოსნად, ბევრი იზრომო, მტკიცედ გიყვარდეს და უფრთხილდებოდე ამ უსაზღვრო ბედნიერ მიწას, რომელსაც საბჭოთა ქვეყანა ეწოდება“, — წერდა ის.

ქვემოთ ვათავსებთ ნაწყვეტს არკადი გაიღარის ავტობიოგრაფიული ნაწარმოებიდან „სკოლა“, რომელშიც მოთხრობილია ცხოვრების იმ მძიმე სკოლის შესახებ, რომელიც გაიღარა რევოლუციის ახალგაზრდა თაობამ. ნაწარმოების მთავარი გმირი ბორის გორიკოვი თვით არკადი გაიღარია.



...ახალმა ამხანაგმა ჯიბის დანა ამოიღო და ბატს უხმოდ დაუწყო შიგნვა, თან დროგამოშვებით ჩემკენ იყურებოდა.

მე ფიხნების მთელი კონა შევაგროვე და შევეკითხე:

— ასანთი გაქვს?

— აიღე, — და გასისხლიანებული თითებით ასანთის კოლოფი ფრთხილად გამომიწოდა. — ბევრი არ დახარჯო.

მე იგი კარგად დავათვალიერე. მტვრის ფენას ვერ დაეფარა ცოცხალი სახის თანაბარი სითეთრე. როცა ლაპარაკობდა, პირის მარჯვენა კუთხე ოდნავ უთრთოდა და ერთდროულად მარცხენა თვალს ცოტათი ჭუჭუავდა. ის ჩემზე ორიოდ წელით უფროსი

იყო, ალბათ ჩემზე ღონიერიც. ვიდრე მოპარული ბატი შამფურზე ტრიალებდა და გარშემო მადის აღმძვრკელ სუნს ავრცელებდა, ჩვენ ბალახზე ვიწექით.

— გინდა მოსწიო? — მკითხა უცნობმა.

— არა, არ ვეწევი.

— ტყეში გაათენე? ცივა, — დაუმატა მან პასუხის მიუღებლად. — აქ როგორ მოხვდი? შენც იქიდან? — და ხელი რკინიგზის ხაზისაკენ გაიქნია.

— იქიდან. მატარებლიდან გამოვიქეცი, როცა ის გააჩერეს.

— საბუთებს ამოწმებდნენ?

— არა, — გავოცდი მე, — რა საბუთები. ბანდიტები დაგვესხნენ.



— ააა. — და მან უხმოდ გააბოლა პაპი-
როსი.

— შენ საით? — დიდხნის სიჩუმის შემ-
დეგ შემეკითხა იგი მოულოდნელად.

— დონზე... — წამოვიწყე მე და გავჩუმდი.

— დონზე... — გააგრძელა მან და წამო-
იწია. — შენ... დონზე?

მის თხელ, დამსკდარ ტუჩებს უნდობმა
ლიმილმა გადაურბინა, მოჭუტული თვალები
ფართოდ გააჩილა, მაგრამ უმალვე გულგრი-
ლი გამომეტყველება მიიღო და ზანტად შე-
მეკითხა:

— შენ რა, იქ მშობლები გყავს თუ?

— მშობლები... — ვუპასუხე მე ფრთხი-
ლად, რადგან შევამჩნიე, რომ ცდილობდა
გაევო ჩემ შესახებ ყველაფერი, თვითონ კი
განზრახ ჩრდილში რჩებოდა.

ის ისევ გაჩუმდა, ბატი, რომელსაც ქონის
შიშხინა წვეთები ჩამოსდიოდა, მეორე
გვერდზე შეაბრუნა და დინჯად თქვა:

— მეც იმ ადგილისაკენ ვცდილობ გალ-
წევას, მხოლოდ მშობლებთან კი არა, სივერ-
სის რაზმში.

მან მიაგმო, რომ პენზაში სწავლობდა,
ჩამოვიდა მასწავლებელ ბიძასთან, აქვე მახ-
ლობლად, მეორე თემში, მაგრამ თემში
კულაკები აჯანყდნენ და ძლივს დააღწია
თავი.

ვსანსლავდით ნაწილ-ნაწილ დაგლეჯილ,
დამწვარ ბატს, რომელსაც ბოლის სუნი ასდი-
ოდა, და დიდხანს მეგობრულად ვსაუბრობ-
დით.

ბედნიერი ვიყავი, რომ ამხანაგი ვიშოვე.
უცბად მომემატა მხნეობა და მეგონა, რომ
ორნი უფრო ადვილად დავაღწევდით თავს
მახეს, რომელშიც ორივე ჩაგვარდით.

— დავიძინოთ, ვიდრე მზეა, — მირჩია
ახლმა ამხანაგმა. — ახლა მიინც გამოვიძი-
ნოთ, თორემ ღამით სიცივისაგან თვალს ვერ
მოხუჭავ.

პატარა მინდორზე დავწექით. მე ძალე ჩავ-
თვლიშე. ალბათ დავიძინებდი კიდევ, ჭიანჭვე-
ლას რომ არ შეგაჩუხებინე, რომელიც ნეს-
ტოში შემიძვრა. წამოვიწიე და დავიფრუტუ-
ნე. ამხანაგს უკვე ეძინა. მისი გიმნასტურის
საყელო შეხსნილი იყო და ტილოს სარჩულ-
ზე დავინახე შავი საღებავით გამოყვანილი
გრ. ა. კ. კ.

„ეს რა სასწავლებელია? — გავიფიქრე მე.
— ჩემი ქამრის ბალთაზე, მაგალითად, ასე-
თია: ა. რ. უ, რაც არზამასის რეალურ სას-
წავლებელს ნიშნავს. აქ კი გრ. შემდეგ
ა. კ. კ. ხან ასე ვაწყობდი და ხან ისე, მაგრამ
არათფერი გამოდიოდა. „როცა გაიღვიძებს,
ვეითხავ“ — გადავწყვიტე მე.

მსუყე საქმლის შემდეგ მომწყურდა. ახ-

ლომასლო წყალი არ იყო, გადავწყვიტე ხე-
ში ჩავსულიყავი, სადაც, ჩემი ახრთქვენი
რა ნაკადული უნდა ყოფილიყო. ნაკადულ-
ვიპოვე, მაგრამ ფლატე ნაპირის გამო მას-
თან მისვლა შეუძლებელი იყო. ქვევით ნა-
კადულის პარალელურად ვიწრო სასოფლო
ვზა გადიოდა. ნესტიან თიხაზე ცხენის ნალე-
ბის ნაკვალევი და ცხენის ახალი ჩონჩორიკი
დავინახე. ეტყობოდა, დილით აქ ჯოგს გა-
ევლო.

ხელიდან გავარდნილი ჯოხის ასაღებად
დავიღუნე და გზაზე რაღაც ბრჭყვიალა, ტა-
ლახში ჩავვარდნილი საგანი დავინახე. ავი-
ლე და გავწმინდე. ეს იყო საკავემომძვრა-
ლი თუნუქის წითელი ვარსკვლავი, ერთ-ერ-
თი იმ სუსტი, უხეშად ვაკეთებული ვარსკ-
ვლავთაგანი, რომლებიც წითლად ღვიოდ-
ნენ ცხრაას თვრამეტ წელს წითელარმიელე-
ბის ფათახებზე, მუშებისა და ბოლშევიკების
ხალათებზე.

„როგორ მოხვდა ეს აქ?“ — გავიფიქრე
და თან გზას ყურადღებით ვაკვირდებოდი.
ისევ დავიღუნე და შამხანის ცარიელი მას-
რა შევნიშნე.

წყლის დაღვევაც კი დამავიწყდა, ისე გა-
ვექანე მიტოვებული ამხანაგისაკენ. ამხა-
ნაგს რატომღაც არ ეძინა, ბუჩქებთან იდგა
და აქეთ-იქით იყურებოდა, ალბათ მე მეძებ-
და.

— წითლები! — დავიყვირე მე მთელი
ხმით და მასთან მივირბინე.

ის წელში მოხრილი გადახტა, თითქოს მის
უკან გაესროლოთ, და შიშისაგან მობრეცი-
ლი სახით შემობრუნდა ჩემკენ.

მაგრამ როცა მხოლოდ მე დამინახა, გას-
წორდა და გულმოსულად, ისე, რომ თავისი
შეშინება რითიმე აეხსნა, თქვა:

— მუღრევო... ზედ ყურისძირთან დაილ-
ჩიალი...

— წითლები, — ამჟღად გავიმეორე მე.

— სად არიან წითლები? საიდან?

— დღეს დილით გაუვლიათ. მთელ გზაზე
ნალების ნაკვალევი და ჩონჩორიკი მთლად
ახალია... გასროლილი მასრა და აი ეს, — და
ვარსკვლავი გავუწოდე.

ამხანაგმა თავისუფლად ამოისუნთქა:

— ასე გეთქვა. — და ისევ, თითქოს თა-
ვის გასამართლებლად, დაუმატა: — თორემ
ყვირი... ეშმაკმა იცის, რა ვიფიქრე.

— წავიდეთ ჩქარა... იმავე გზით წავიდეთ.
პირველ სოფლამდე მივალოთ. შეიძლება ისი-
ნი ჯერაც იქ ისვენებენ. წავიდეთ, — ვაჩქა-
რებდი მე, — ფიქრი რათ უნდა?

— წავიდეთ. დამეთანხმება ის, როგორც მო-
მეჩვენა, ცოტა ყოყმანის შემდეგ, — ჰო, ჰო,
რასაკვირველია, წავიდეთ.

მან კისერზე მოისვა ხელი და ჩემ წინ ისევ გაიელვა ტილოს სარჩულზე დაწერილმა ასოებმა: გრ. ა. კ. კ.

— გამიგონე, — ვუთხარი მე. — რას ნიშნავს ეს შენი ასოები?

— რომელი ასოები? — უკმაყოფილოდ შემეკითხა იგი და საყელო ბოლომდე შეიკრა.

— აი, საყელოზე...

— ეშმაკმა იცის მაგათი თავი. ეს ტანსაცმელი ჩემი არ არის, შემთხვევით ვიყიდე.

— ა-ა... მე კი ვერასოდეს ვერ ვიტყვოდი, რომ შემთხვევითაა ნაყიდი, — მხიარულად ვამბობდი მე და მის გვერდით მივაბიჯებდი. — ეს ტანსაცმელი თითქოს საგანგებოდ შენთვისაა შეკერილი. ერთხელ დედამ შემთხვევით შარვალი მიყიდა და რამდენიც არ უნდა მეწია ზევით, მაინც მივარდებოდა.

რაც უფრო უუახლოვდებოდით უცნობ სოფელს, მით უფრო ხშირად ჩერდებოდა ჩემი ამხანაგი.

— ტყუილად მივიჩქარით, — მარწმუნებდა ის, — სალამოს, შებინდებულზე უფრო მოხერხებულად მივალთ. თუ რაზმი იქ არის, ვერავინ შეგვამჩნევს, მოფარებული ადგილებით გავალთ და გათავდა. თორემ უცხო კაცისათვის უცნობ ადგილებში ახლა სასიფათოა.


მე ვეთანხმებოდი, რომ შებინდებულზე დახვეწილი უფრო ნაკლებსახიფათოა, მაგრამ მოთმინება აღარ მყოფხიდა, მინდოდა ჩქარა მოვხვედრილიყავ ჩვენებთან და ძლივს ვანელებდი სვლას.

სოფელს რომ მივუახლოვდით, ჩემი თანამგზავრი ბუჩქებით დაფარულ ხევში შეჩერდა, წინადადება მომცა გზიდან გადაგვეხვია და მოგვეთათბირა, თუ როგორ მოვექცეულიყავით. ბუჩქებში მას მითხრა:

— მე ვფიქრობ, რომ საჭირო არაა ორივე ერთად წამოვეგოთ სარზე. მოდი, ერთი აქ დარჩეს, მეორე კი ბოსტნებით სოფლისკენ გაძვრება და დახვეწრავს. მე რაღაც მიეჭვება, მეტისმეტი სიწყნარეა, ძაღლებიც არ ყფევენ. წითლები შეიძლება იქ არ იყვნენ, შაშხანისანი კულაკები კი იქნებიან.

— მოდი, მაშინ, ორივე გაძვრეთ.

— ერთად უარესია, უხიაკო! — მხარზე მე გობრულად დამკრა ხელი. — შენ დარჩი, მე კი მარტოც როგორმე მოვახერხებ. ტყუი-



ნესტიან, რბილ მიწაზე აუჩქარებლად, თითქმის უხმოდ მიდიოდა გლეხთა საზიდი.

ლად რად უნდა ჩაიგლო თავი ხიფათში. შენ აქ მომიცადე.

„კარგი ბიჭია, — გავიფიქრე მე, როცა ის წავიდა. — ცოტა უცნაურია, მაგრამ კარგი. ზოგიერთი რომ ყოფილიყო, სასიფათო საქმეს სხვას მოახვევდა თავზე ან წილის ყრას შესთავაზებდა; ამან კი თვითონ იკისრა.

ის ერთ საათში დაბრუნდა, რომ ველოდა, იმაზე ადრე. ხელში მძიმე, ეტყობა ახლახან მოჭრილი და შემოთლილი კეტი ეჭირა.

— ასე მალე? — დავუძახე მე. — აბა, რა ამბავი მოიტანე?

— არ არიან, — ჯერ კიდევ შორიდან გააქნია მან თავი, — არც არიან და არც ყოფილან სრულებით. წითლებმა ალბათ სხვა გზაზე გადაუხვეიეს, სუგლისსკისკენ. სუგლისსკი აქედან ახლოსაა.

— კარგად გაიგე? — ისევ შევეკითხე მე მოშვეებული ხმით, — ნუთუ შართლა არ არიან?

— არ არიან და არა. განაპირა ქოხში დედაბერმა მითხრა. კიდევ ბიჭს წავაწყდი ბოსტანში და მანაც დაადასტურა. ჩანს, ძმაო, აქ გავათენებთ, ხვალ კი გავწიოთ: კვალდაკვალ.

ბალახებზე დავეშვი და ჩავფიქრდი. მხოლოდ აქ შემეძარა ეჭვი ჩემი თანამგზავრის სიტყვების სიმართლეში. დამაბნია მისმა ჯოხმა. ჯოხი მძიმე იყო, მუხის, კომბალივით გამოჭრილი. ეტყობოდა, რომ ახლა გამოჭრა, აქედან სოფლამდე თითქმის ერთი საათის სავალი იყო. მალევით წასვლას, გაშოკითხვას და დაბრუნებას ორ საათში



ძლივს მოასწრებ. მას კი ერთ საათზე მეტი არ უვლია და ამ ხნის განმავლობაში მუხის კეტის გამოჭრა და გამოკობიტებაც მოასწრო. ამას კი ჯიბის დანით ნახევარ საათზე ნაკლები არ მოუწოდებოდა. ნუთუ შეეშინდა, არაფერი არ გაიგო და ძთელი ამ ხნის განმავლობაში ბუჩქებში იჯდა? არა, არ შეიძლება, მან ხომ თვითონ ისურვა ამბოს გასაგებად წასვლა. მაშინ რატომ იღებდა თავს. და იგი არც ჰგავს მშვიდარას. რასაკვირველია, საშინაო, მაგრამ ისიც ხომ უნდა გაძვრეს როგორმე.

მშრალი ფოთლების მთელი გროვა შეეკრიბეთ, ერთმანეთის გვერდით დაწვე-ქით და ჩემი პალტო დავიხურეთ. ასე ვიწვე-ქით უხმოდ ნახევარი საათი. მიწის ნესტმა გვერდი გამიცვივა. „ფოთლები ცოტა შევაგ-როვეთ“—გავიფიქრე და წამოვდექი.

— რა მოგივიდა? ნახევრად მძინარეს უკმაყოფილო ხმით შემეკითხა ამხანაგი, — რატომ არ გეძინება?

— სინესტეა... შენ იწევი, მე კიდევ ორი-ოდე ილიას მოვიტან.

ახლოს ფოთლები უკვე შეეკრიბეთ და მე გზის მახლობლად შევედი ბუჩქებში. მთვარი ის იყო ამოდიოდა, სიბნელეში ძნელი იყო გარკვევა. ხელში როკები და ტოტები მხვდებოდა. გზიდან წყნარი ხმაური მოისმა. ვიღაცა ფეხით თუ ურმით მოდიოდა. ფოთ-ლები დავყარე და გზისკენ გავეშურე, თან ვცდილობდი ტოტებს არ წამოვდეგებოდი.

ნესტიან, რბილ მიწაზე აუჩქარებლად, თითქმის უხმოდ მიდიოდა გლახური საზი-დი. ორნი ხმადაბლა ლაპარაკობდნენ:

— აბა რა ვიცი, — დინჯად ამბობდა ერ-თი, — თუ ჩაუტყვირდებით, შეიძლება ის სწორადაც ლაპარაკობდა.

— მეთაური?—შეეკითხა მეორე.—რასა-კვირველია, შეიძლება სწორად. ისინი რომ აქ მუდმივად იდგნენ, სხვაა, თორემ დღეს მოვიდნენ, ილაპარაკეს და წავიდნენ. მაშინ კი მოვლენ ჩვენი მოთავეები და აი თუნდაც მე, მაგალითად, მეტყვიან: „აჰ, შე ასეთო და ისეთო, შენ კულაკებს აბეზღებდი, სულს ამოგაძრობთო“. წითლებს რა... აქ იყვნენ, დღეს კი ისევ საზიდებს იმზადებენ, ჩვენები კი მუდამ ახლოს არიან. აი მაშინ მოიფხან კეფას!

— საზიდებს ამზადებენ?

— აბა როგორ. საღამოს იმათი ჯარისკაცი თედორე აკატუნებდა — თორმეტისათვის სა-ზიდი მზად იყოსო.

ხმები მიწყდა. მე ვიდექი და არ ვიცოდი რა მეფიქრა. მამასადამე, მართალია, მამა-სადამე, წითლები მაინც სოფელში არიან.

მამასადამე, ჩემმა თანამგზავრმა მომატყუა. წითლები მიემგზავრებიან და შეეძლება და ისევ ეძებე! უნდა ვიჩქარო. ტომ მომატყუა მან?

პირველად გავიფიქრე მარტო გავქცეულ-ლიყავი სოფელში, მაგრამ გამახსენდა, რომ ჩემი პალტო მინდორში დარჩა. „მაინც აჯო-ბებს დავბრუნდე, კიდევ მოვასწრებ. მასაც უნდა ვუთხრა, მართალია, მშვიდარაა. მაგრამ მაინც ჩვენია“.

გვერდიდან ფაჩუნი მომესმა. დავინახე, რომ ჩემი ამხანაგი ბუჩქებიდან გამოდიოდა. როგორც ეტყობა, მე გამომყვა და ისიც და-ძალუღი უსმენდა გამვლელი გლახების ლა-პარაკს.

— შენ რა ქენი? — ყვედრებით და გულ-მოსულად დავიწყე მე.

— წავიდეთ, — პასუხის ნაცვლად აღელ-ვებულად ჩაილაპარაკა მან.

მე გზისაკენ გადავდგი ნაბიჯი. ის უკან მომყვა.

კეტის ძლიერმა დარტყმამ წამაქცია. თვა-ლები გავახილე. ჩემი თანამგზავრი ჩაცუც-ქულიყო და მთვარის შუქზე აჩქარებით ათ-ვალიერებდა ჩემი შარვლის ჯიბიდან ამოღე-ბულ საბუთებს.

„აი რა უნდოდა მას, — მივხვდი მე, — აი საქმე რაშია: ის სრულიად არაა მშვიდარა, მან იცოდა, რომ სოფელში წითლები არიან და განგებ არა თქვა, რომ ღამის გასათევად დავეტოვებინე და გავქეპურდე. ის არც მეამ-ბოხეა, რადგან თვითონვე ეშინია კულაკების, ის ნამდვილი თეთრია.“

წამოდგომა ვცადე, რომ ბუჩქებისაკენ გა-ვცოცებულლიყავი. უცნობმა შეამჩნია ეს, სა-ბუთები თავის ტყავის ჩანთაში ჩადო და ჩემ-თან მოვიდა:

— შენ კიდევ არ ჩაძალდი? — ცივად შემეკითხა ის, — ძალღო, იშვია ამხანაგი: მე გავრბივარ დონზე, მაგრამ არა შენს ძალ სივერსთან, არამედ გენერალ კრასნოვ-თან.

ის ჩემგან ორ ნაბიჯზე იდგა და მძიმე კეტს იქნევდა.

ტაკ-ტუკ... მიციმდა გული. ტაკ-ტუკ... — დაჟინებით ფეთქავდა იგი მაგარსა და მტკი-ცი რალაცაზე. მე გვერდზე ვიწევი და მარ-ჯვენა ხელი გულზე მედო. ვიგრძენი, რომ ჩემი თითები ფრთხილად, ჩემდაუნებურად მიიწვედნენ უბეში, ფარული ჯიბისაკენ, სადაც მათხერი მქონდა შენახული.

უცნობმა ჩემი ხელის მოძრაობა შეიძლება კიდევ შეამჩნია, მაგრამ ამისთვის ყურადღე-ბა არ მიუქცევია, რადგან მათხერის შესა-

ნებ არაფერი იცოდა. მაგრამ მოვუჭირე ხელი მაუზერის თბილ ტარს და მცველი ხელა მოვწიე. ამასობაში ჩემი მტერი კიდევ სამ ნაბიჯზე გამშორდა, შეიძლება იმისათვის, რომ უკეთესად დავეთვალე რეზინე, უფრო კი იმისათვის, რომ გამოქანებით კეტის დარტყმით ერთხელ კიდევ დავერტიანებინე. აკანკალებული ტუჩები მოვკუმე, თითქოს დაბუყებულ ხელს ვისწორებდი, მაუზერი ამოვიღე და ნახტომისათვის მომზადებულ კაცს დავუმიზნე.

დავინახე, როგორ უეცრად დაედრიჯა სახე, გავიგონე, როგორ დაიყვირა და მომეარდა და უფრო მექანკურად, ვიდრე ჩემი ნებით, მაუზერს ფეხი გამოფეხალე...

ის ჩემგან ორ ნაბიჯზე იწვა ჩემკენ გამოშვერილი დამუშტული ხელებით. კატი გვერდზე ეგდო.

„მოკლულია“, — მივხვდი მე და გამოშტერებულმა ბალახებში ჩავრგე თავი, როგორც ისე გუგუნებდა, როგორც ტელეფონის ბოძი ქარში.

ასე ნახევრად გონმხიდილი დიდხანს ვიწე-ქი. სიცხე დამიფარდა. სისხლი სახიდან უკუიქცა. მოულოდნელად შენცივდა, კბილს კბილზე მაცემინებდა. წამოვიწიე, ჩემკენ გამოშვერილ ხელებს შევხედე და შემეშინდა. ეს ხომ უკვე სერიოზულადაა. ყველაფერი,

რაც აღრე ჩემს ცხოვრებაში ხდებოდა, წამდვილად თამაშს ჰგავდა, სახლიდან გვერდით ვაც, საბრძოლო რაზმში ყოჩად სოციალიზმთან სწავლაც, გუშინდელი ტყეში ხეტიალიც, ეს კი უკვე სერიოზული რამაა. და მე, თხუთმეტი წლის ბიჭს, ბნელ ტყეში, ჩემ მიერ წამდვილად მოკლული კაცის გვერდით, შემეშინდა. თავმა გუგუნე შეწყვიტა, შუბლზე ცივი ოფლი დამასხა.

შიშმა მიბიძგა და წამოვდექი. ფეხის წვერებზე მივებარე მოკლულს და ხელი ვტაცე ბალახზე დაგდებულ ჩანთას, რომელშიც ჩემი საბუთები იყო. შემდეგ უკან-უკან, ისე, რომ მწოლიარესათვის თვალი არ მომიშორებია, წავებარბაცი ბუჩქებისაკენ. შემდეგ მივბრუნდი და ბუჩქებზე ხტომით, კისრისტეხით გავიქეცი გზისკენ, სოფლისაკენ, ხალხთან — ოღონდ მარტო აღარ დავრჩენილიყავი.

თარგმანი ბ. შელიასი





მენჯი -

ქართული მაცესტა

სანატორიუმი № 1 ძეძვითა და ხეებით შემოსილ მთის ძირას არის აშენებული. სამსართულიანი ლამაზი შენობა გაპყურებს ბორცვს, რომლის თავზე ირხევა ალვის ხეები.

ცოტა მოშორებით რკინიგზელთა სანატორიუმია — ერთსართულიანი თეთრი შენობა.

სანატორიუმსა და ბორცვს შუა დაბლობია. დაბლობს შუაზე ჭრის რკინიგზის ლიანდაგი.

გულს სიხარულით ავსებს და ათრთოლებს სუფთა, გამჭვირვალე ცა და მწვანე ხავერდი მიწისა.

სანატორიუმებიდან გამოდიან ავადმყოფები და მიიჩქარიან ერთსართულიანი შენობისაკენ; იქ სააბაზანოა. შავი, გრძელი მალი შეჭრილა ლაქვარდში და ფისის ფერი კვამლით ხაზავს სივრცეს.

იქვე მდორედ მიედინება პატარა მდინარე ცივი. ცივი სოფელ ყულევთან ერთვის ლურჯ, თვალწარბაც მდინარეს ხობს და ხობთან ერთად ერთვის შავ ზღვას.

მდინარის პირას ამოქუხს მინერალური სამკურნალო წყალი. წყალსაქაჩავით ეს წყალი მიედინება სააბაზანოსკენ, რომ დაავადებულებს აღუდგინოს ჯანსრთელობა, ჯანსრთელი და მხიარული საბჭოთა მოქალაქეები კვლავ დაუბრუნოს დაწესებულებას, ქარხანას, ფაბრიკას...

მენჯში ნახავთ საბჭოთა კავშირის შორეული კუთხეებიდან ჩამოსულლებსაც.

მენჯის მინერალური წყლებით მკურნალობენ ქარებით, ქრონიკული მიოკარდიტით, იზიაზით და სხვა ავადმყოფობით დაავადებულნი. აქ ნახავთ ავადმყოფებს, რომლებსაც სხვა კურორტებში უმკურნალიათ, მაგრამ საგრძნობი გაუმჯობესება მხოლოდ მენჯში უგრძნიათ.

რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი ნინუა შთაბეჭდილებათა წიგნში წერს: „ეს მესამე წელია ზედიზედ ვმკურნალობ მენ-

ჯის მინერალური წყლების აბაზანებით და შესანიშნავ შედეგებს მივაღწიე, 1937 წლიდან შეპყრობილი ვიყავი სახსრების რევმატიზმით და მიოკარდიტით. ადრე ვმკურნალობდი წყალტუბოში, ზეკარში, კვერეთში და სხვაგან, მაგრამ გაუმჯობესება მხოლოდ მენჯში ვიგრძენი“.

ხშირია შემთხვევა, როცა ყავარჯენზე დაყრდნობილი ავადმყოფი ჩამოდის მენჯში სამკურნალოდ. აბაზანების მიღების შემდეგ კი ყავარჯენს გადაყრის და თავისუფლად დადის. „მქონდა ქრონიკული რევმატიზმი. — წერს სამკურნალოდ ჩამოსული ნიკიტინი შთაბეჭდილებათა წიგნში, — მკურნალობის შემდეგ სანატორიუმიდან მივემგზავრე სრულიად ჯანმრთელი. ჩემმა აბაზანებმაც დაყარეს ყავარჯენები და ისე გაემგზავრნენ“.

სანატორიუმის წინ ჩემ გვერდით დგას ლენინგრადელი ინჟინერი, ქერა, ცისფერთვალა ვაჟაკი, სამამულო ომის მონაწილე.

— საუცხოო წყალია აქ, — ამბობს იგი. — ყუმბარამ ფეხი მომამტვრია. ჰოსპიტალში დიდხანს ვიწექი, ძვალი ძვალს შეეზარდა, მაგრამ ტკივილი მულამ მაწუხებდა. მენჯის შესახებ რომ მითხრეს, ვტაცე ხელი ჩემს მეგობარს — ყავარჯენს და გამოვემგზავრე. როგორც ხედავთ, ყავარჯენი აღარ მჭირდება, აი იმას ვაჩუქე, — მან ხელი ყავარჯენზე დაყრდნობილი მოხუცისაქენ გაიშვირა.

მოხუცი სიცილით მოგვიახლოვდა.

— მეც ვგრძნობ გამოკეთებას, მაგრამ ახლა ახალი დარდი გამიჩნდა.

იგი ეშმაკურად იღიმებოდა.

— არ შეიძლება გვითხრათ თქვენი დარდი? — მიმართა ინჟინერმა.

— ორი-სამი დღის შემდეგ უყავარჯნოდ გავივლი. აღარ ვიცი, ვის ვაჩუქო ყავარჯენი. აი ამიტომ ვარ შეწუხებული, — იხუმრა მოხუცმა.

ანდრო ლომიძე

შნავი თანამგზავრი მის მეცნიერულ მუშაობასა და მოღვაწეობაში.

1930 წელს ფრედერიკ უოლიო-კიურიმ დაიცვა სა-
დოქტორო დისერტაცია რადიოაქტიურობის ელექ-
ტროქიმიისაში. ორი წლის შემდეგ მან განახორციელა
გამოკვლევები, რამაც ნეიტრონის აღმოჩენამდე
მიგვიყვანა. „მხოლოდ ნეიტრონის აღმოჩენის შემ-
დეგ, — წერს აკადემიკოსი დ. სკობელცინი, —
ჩვენ გავიგეთ, თუ რისგან არის აგებული ატომგულე-
ბი. ნეიტრონი და პროტონი (რომელთა არსებობას
შესახებ იცოდნენ ადრე) — ეს ის პაწია „აგურებისა“,
რისგანაც აგებულია ატომების წიაღში დამატული
უწყრილესი სტრუქტურები — ატომური ბირთვები“.

შემდეგმა ახალმა და ახალმა დიდმა აღმოჩენებმა
ატომების დარგში მსოფლიო მეცნიერის სახელი
მოუხვეჭა უოლიო-კიურის. 1933-34 წლებში უოლიო-
კიურიმ და ირენ კიურიმ აღმოაჩინეს ხელოვნური
რადიოაქტივობა. ხელოვნურმა რადიოაქტიურმა ნივთი-
ერებებმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა არა მარ-
ტო ატომური ბირთვის შესწავლაში, არამედ აგრეთვე
ქიმიისაში, ბიოლოგიაში, მედიცინაში. 1935 წელს უო-
ლიო-კიურიმ ნობელის პრემია მიიღო.

ამის შემდეგ უოლიო-კიური ახალი ენთუზიაზმით
განაგრძობს ატომის ბირთვის ბუნების გამოკვლევას.
უოლიო-კიურის დიდმა აღმოჩენებმა ნათელყო, თუ
რა უდიდესი საკაცობრიო მნიშვნელობა აქვს ატომუ-
რი ენერჯის გამოყენებას ადამიანთა კეთილდღეო-
ბის, ადამიანის მიერ ბუნების დამორჩილების საქმე-
ში. ჯერ კიდევ ომის წინ ფრედერიკ უოლიო-კიური
ითვისალისწინებდა თბოელექტროცენტრალების შექმ-
ნის შესაძლებლობას: თითოეული თბოელექტროცენ-
ტრალის ძალა 300.000 კილოვატსათი იქნებოდა. იგი
სათბობის სახით ამ ენერჯის გამოსაყოფად წელი-
წაღში დახარჯავდა მხოლოდ ერთ ტონა ურანს, ნაც-
ვლად სამი მილიონი ტონა ქვანახშირისა, რასაც თა-
ნამედროვე ორთქლის მილები ხარჯავენ.

მაგრამ კაპიტალისტურ სამყაროში არიან ისეთები,
რომლებიც ისწრაფვიან ატომური ენერჯის გამოსა-
ყენებლად დანაშაულებრივი მიზნებისათვის — ომის
მიზნებისათვის. გაითვალისწინა რა ეს, მოწინავე მეც-
ნიერმა ფრედერიკ უოლიო-კიურიმ მტკიცედ გადაწყვი-
ტა ბოლომდე იბრძოლოს კაცობრიობის მტრების ამ
მავნებლური ცდების წინააღმდეგ და მთელი თავისი
მეცნიერული მოღვაწეობა შესწიროს მშვიდობისა და
ადამიანთა კეთილდღეობის საქმეს.

ამ კეთილშობილურმა მოღვაწეობამ გახადა ფრედე-
რიკ უოლიო-კიური პროგრესული კაცობრიობისათ-
ვის, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანისათვის
საყვარელ მეცნიერად.

დაბადების 50 წლის თავის აღსანიშნავ ბანკეტზე
1950 წლის 31 მარტს ფრედერიკ უოლიო-კიურიმ
თავის მრავალრიცხოვან მეგობრებს უთხრა:

„მე მქონდა მისწრაფება ჩავეტოლოყავ ჩემს ლა-
ბორატორიაში, მაგრამ მე დავუსვი ჩემს თავს კითხ-
ვა: „მაშინ ვინ გამოიყენებს ჩემს აღმოჩენებს?“ და
მე მივხვდი, — იმისათვის, რომ მშვიდად ვიჯდე
ჩემს ლაბორატორიაში, მე უნდა ვიბრძოლო იმთა რი-
აგებში, ვისაც სურს მეცნიერების მიღწევების გამო-
ყენება მშვიდობისა საქმისათვის და არა მტაცებლურ



ფრედერიკ უოლიო-კიური

მეოცე საუკუნის ფრანგ მეცნიერთა შორის საპატიო
ადგილი უკირავს ფრედერიკ უოლიო-კიურის. იგი
ჯერ კიდევ ახალგაზრდული ენერჯით შრომობს
მეცნიერების გაფურჩქვნისათვის, კერძოდ ფიზიკის
დარგში. ფრედერიკ უოლიო-კიური 51 წლისაა. იგი
სწავლობდა და მუშაობდა გამოჩენილ ფრანგ ფიზი-
კოს პოლ ლანჟევენთან. მისმა პირველმა მეცნიერულ-
მა მიღწევებმა მიიქცია ყურადღება ფიზიკოსი ქალის
მარია სკლოდოვსკაია-კიურისა, რომელმაც თავის ქმარ-
თან პიერ კიურისთან ერთად აღმოაჩინა რადიუმი და
გამოიკვლია რადიოაქტივობის მოვლენები. ფრედერი-
კმა მუშაობა დაიწყო მარია სკლოდოვსკაია-კიურის
ლაბორატორიაში. ახალგაზრდა მეცნიერი დაინტერეს-
და რადიოაქტივობის შესწავლითაც. თავის ექსპერიმენ-
ტებს იგი ატარებდა სკლოდოვსკაია-კიურისა და პიერ
კიურის ქალიშვილ ირენ კიურისთან ერთად. ირენ
კიურის მერმე გახდა ფრედერიკის მეუღლე და შესანი-

პიონერები სამგობრში

თა ანგარების მიზნებისათვის, არა ომის გაჩაღებისათვის... და როცა დამყარდება მტკიცე მშვიდობა, ჩვენ, მეცნიერებს, გვექნება სულიერი სიმშვიდე და შეგვეძლება ვიჯდეთ მთელი დღეები ჩვენს ლაბორატორიაში. და რაღაც ბედნიერებას მოვუტანთ ჩვენ შაშინ კაცობრიობას!“

სწორედ ამიტომ ფრედერიკ შოლიო-კიური პატრონის ადამიანების ნება-სურვილით ერთსულოვნად არჩეულ იქნა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარედ. მან წინადადება შეიტანა დაწყებულიყო კამპანია ატომური იარაღის კანონგარეშე გამოცხადებისათვის. ამ ბრძოლამ ატომური იარაღის აკრძალვისათვის დღეს მსოფლიოს ისტორიაში უმაგალითო ფართო მასშტაბი მიიღო. შოლიო-კიური იყო მშვიდობის დაცვისათვის ცნობილი სტოკჰოლმის მოწოდების ინიციატორი, ამ მოწოდებას მან პირველმა მოაწერა ხელი.

ფრედერიკ შოლიო-კიურისა და მისი უახლოესი წინაპრების ცხოვრება და მოღვაწეობა მიძღვნილია ადამიანთა კეთილდღეობისათვის ბრძოლისადმი. ფრედერიკის მამა ანრი შოლიო ამ ოთხმოციოდე წლის წინათ იბრძოდა ვერსალელების წინააღმდეგ პარიზის კომუნის გმირ დამცველთა რიგებში. ფრედერიკმა ადრე გამოცადა ომის საშინელება — მისი ერთ-ერთი უფროსი ძმა მოკლულ იქნა პირველი იმპერიისლისტური ომის ფრონტზე.

შოლიო-კიური ადრე დაუმეგობრდა მუშებს, მეზღვაურებს, ფიზიკური შრომის ადამიანებს. მისმა მასწავლებელმა, დიდმა ფრანგმა მეცნიერმა პოლ ლანჟევენმა, მოაწყო კამპანია ანდრე მარტის დასაცავად. ანდრე მარტი ხომ შევიდა ისტორიაში როგორც საფრანგეთის ხომალდებზე აჯანყების მომწყობი. ეს ხომალდები იგზავნებოდა ახალგაზრდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ინტერვენციაში მონაწილეობის მისაღებად. შოლიო-კიურის ალაფროვანება ლანჟევენისა და ანდრე მარტის ეს კეთილშობილური საქმეები.

ფრედერიკ შოლიო-კიური აქტიური მებრძოლი იყო ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. იგი, როგორც პატრიოტი, იბრძოდა თავისი სამშობლოს—საფრანგეთის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ის იყო აქტიური ანტიფაშისტ. ომის პერიოდში მან საფრანგეთის საზღვრებიდან გაიტანა ე. წ. „მძიმე წყლის“ მარაგი, რათა ფაშისტურ გერმანიას არ მისცემოდა ატომური ყუმბარების დამზადების საშუალება.

დიდმა მეცნიერმა ღრმად შეისწავლა მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის შრომები, რამაც ხელი შეუწყო მისი მოწინავე საზოგადოებრივი და ფილოსოფიური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. შოლიო-კიური 1938 წელს საბჭოთა მეცნიერების მოწვევით ჩამოვიდა საბჭოთა კავშირში, შემდეგაც იგი არა ერთხელ სწვევია ჩვენს სამშობლოს.

ომისგამჩაღებელი საფრანგეთის მთავრობა ყოველმხრივ ავიწროებს დიდ მეცნიერს შოლიო-კიურის.

მტკიცე მშვიდობისათვის, ადამიანთა ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის მედგრად იბრძვის დიდი ფრანგი მეცნიერი, მშვიდობის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი ფრედერიკ შოლიო-კიური.

— გამოჩნდა არხში იორი! —
შესძახეს პიონერებმა;
მერე ამ ძახილს ზედიზედ
ზღვა ხალხიც იმეორებდა...

ტალღა მოადგა კალაპოტს
„ზღვის“ ფსკერში ჩასაქროლებლად,
მაგრამ რისთვისღა შეჩერდა? —
ეჩქარა! რას აყოვნებდა!

იქნება პიონერების
ყელსახვევებმა დაბნიდეს,
სიხარტლისგან დაიბნა, —
ბრუნვა დაიწყო ადგილზე;

ან იქნებ თაიგულების
მძაფრი სურნელით დაითრო,
მხრებზე ვარდ-ყვავილდაყრილმა
თქვა: — საით გავკრა, საითო!

წყალმა გზა მინც გაიგნო,
თან გაიყოლა ტაშის ხმა;
მეგონა ტაში შემოპკრა
გადაბუგულმა ტაშირმაც..

„ზღვის“ ფსკერზე გაითამაშა
მთაში ნაშობმა მდინარემ;
ისე აქლერდა ბუნება,
კენჭიც არ დარჩა მძინარე...

მდინარევ! შენს მჯობნელებზე
ნუ გაჯავრდები ძალიან;
თვალტანად ნორჩებს ხომ ხედავ? —
მათი შვილები არიან...

დაიზრდებიან ნორჩები —
„ზღვის“ დაბადების მომსწრენი,
შენს მიერ მოზურმუხტებულ
ბალებში შევლენ ოცნებით.

შევლენ და შთამომავლობას
შენს ამბავს გადაუშლიან...
იმღერე საგაზაფხულო,
სიცოცხლე გაზაფხულშია!

შალვა ამისულაშვილი

მ. დემეგრადი



მოსკოვნარი

ეკატერინე გაბაშვილს



მიმდინარე წელს შესრულდა 100 წელი გამოჩენილი მწერალი ქალის ეკატერინე გაბაშვილის დაბადებიდან. ამ თარიღის აღსანიშნავად საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა 26 ნოემბერს რუსთაველის სახელმწიფო თეატრის საკონცერტო დარბაზში გამართა საიუბილეო საღამო. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო. ქვემოთ დაბეჭდილი ლექსი ამ თარიღს მიეძღვნა.



ვაყვარებდა სწავლა-ცოდნას,
დაგვხაროდა როგორც დედა;
მან პირველმა წიგნის თვალით
ხალხის გულში ჩამახედა...

დამანახვა ობლის ცრემლი,
ძველი სოფლის ქუჩა, ყორე,
სიღარიბე, ჩარჩ-ვაჭარი
როგორ ტეხდა გლეხის ღონეს.

ხალხის ხსნისთვის ბევრის ზრახვა,
ბევრის საქმე დამანახვა...
კალმის სხივით თვალს მიხელდა
და ის სხივი მათბობს ახლაც.

არ მენახა, შევნატროდი
მისი ტკბილი ღიმის მნახველს.
ბავშვი ვიყავ, წიგნით ვძლევდი
ქრაქის ბოლთან შეზრდილ ნაღველს.

ვუმღეროდი ნამგლის გამჭედს,
გლეხის სინდისს და მარჯვენას.
დღე დღეს ცვლიდა, და მეც ვნახე
მტერზე ხალხის გამარჯვება.

სინათლისკენ მიმავალი
ფიქრს ვანთებდი ბინდის მწველად.
სიმღერაში დავვაჟაკადი
და სიმღერით შევხვდი მწერალს.

მზიურ დროის მოზარდებთან
საუბრობდა ტკბილად იმ დღეს;
აღტაცებამ ფრთა ჰკრა დარბაზს
და მეც ლექსი წამაკითხეს.

ჩემ წინ იდგა ის კეთილი,
მიღიმოდა როგორც დედა,
ვინც პირველმა წიგნის თვალით
ხალხის გულში ჩამახედა.

მოკრძალებამ დამამორცხვა,
შემომენტო გრძნობის ალი;
თითქოს ისევ ცელქი ვიყავ,
სკოლისაკენ მიმავალი.

შევიმოდი... თვალწინ მედგა
გარეუბნის წყნარი ქუჩა,
მაწვნის ქილა,
ვერის დილა,
მაგდანა და მისი ლურჯა.

გიორგი კაჭანიძე

ბოლშევიკი მწერალი



თხუთმეტი წელი შესრულდა მგზნებარე პატრიოტი მწერლის ნიკოლოზ ოსტროვსკის გარდაცვალებიდან. საბჭოთა ხალხი, ჩვენი ახალგაზრდობა არასოდეს დაივიწყებს იმ ადამიანის ხსოვნას, რომლის მთელი ცხოვრება ბოლშევიკური პარტიისადმი, სამშობლოსადმი უსასწაულო სიყვარულისა და ერთგულების საუკეთესო მაგალითია. შრომისმოყვარეობა, მიზანსწრაფვა, სიმამაცე, — აი რა ახასიათებდა ნიკოლოზ ოსტროვსკის. ასეთივე თვისებებით ხასიათდება რომან „როგორ იწრთობოდა ფოლადის“ მთავარი გმირი პავლე კორჩაგინი. პავლე კორჩაგინი—ეს იგივე ნიკოლოზ ოსტროვსკია.

ნიკოლოზ ოსტროვსკი 1904 წელს დაიბადა. მისი ოჯახი, ისე, როგორც მეფის რუსეთის მილიონობით ოჯახები, დიდ გაჭირვებას განიცდიდა. ამის გამო ოსტროვსკის მშობლები იძულებული გახდნენ 12 წლის ნიკოლოზი შებეტოვკის სადგურის ბუფეტში ხელზე მისამსახურედ მიეხარებინათ. იგი დღეღამეში 14-16 საათს მუშაობდა, არაადამიანურ პირობებში ცხოვრობდა, სწორედ ამიტომ, რომ მომავალი მწერლის ნებისყოფის სიმტკიცე ცხოვრებასთან დაძაბულ წინააღმდეგობასა და სიძნელებთან ბრძოლაში ჩამოყალიბდა.

მძიმე პირობებში მყოფი ნიკოლოზის საუკეთესო მეგობარი წიგნი იყო. გაზეთის დამტარებელს აძლევდა საკუთარ სადილს იმისათვის, რომ შესვენებისას, ღამის საათებში ცოტა ხნით ჟურნალ-გაზეთების წაკითხვის შესაძლებლობა მიეცა.


დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ნიკოლოზ ოსტროვსკის ელექტროსადგურის ცეცხლფარეშად მუშაობისას მოუსწრო. იგი მკიდროდ დაუკავშირდა შებეტოვკელ მუშა-რევოლუციონერებს.

როცა ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოს თავს დაესხნენ ინტერვენტები, ნიკოლოზ ოსტროვსკის სამშობლოს დამცველთა პირველ რიგებში ვხვდავთ. იგი მტრის ზურგში მიიპარება, წითელი არმიის ნაწილებს მტრის სიმაგრეებთან ფარულად მისასვლელი გზების გაგებაში ეხმარება, ამარაგებს მებრძოლებს ვაზნებითა და იარაღით.

1919 წლის 20 ივლისი ოსტროვსკის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი თარიღია—იგი კომკავშირის რიგებში შედის. რამდენიმე ხნის შემდეგ მამაცი კომკავშირელი, წითელარმიელებთან ერთად, ფრონტზე მიდის მოხალისედ. აქედან იწყება ახალი ხანა მის ცხოვრებაში — სახელოვანი ბრძოლებისა და გამარჯვებების გზა. მას ვხვდავთ კოტოვსკის კორპუსში. ქალაქ ვოზნენსკთან ოსტროვსკი დაიჭრა, მაგრამ ერთი თვის მესრიალობის შემდეგ პოსაიტალი დატოვა, რომ ბრძოლაში მიწავედ ნაწილს არ ჩამორჩენოდა. ბუდიონის პირველ ცხენოსანთა არმიის უფროსის ოსტროვსკი ხმლით მუსრავს მტერს, შემდეგ მამაცურად ებრძვის თეთრობლონიელების წინააღმდეგ. ცხარე ბრძოლებში იგი მძიმედ იჭრება მუცელსა და თავში.

ნიკოლოზ ოსტროვსკის შემდეგ ჩვენ ვხვდავთ ვიწროლიანდაგაში რკინიგზის მშენებლობაზე, კომკავშირის ბერეზდოვსკის რაიკომის მდივნად, სამხედრო სწავლების ბატალიონის მეთაურად, კომკავშირის შებეტოვკის სამხარეო კომიტეტის მდივნად...

ღება 1927 წელი. ოსტროვსკის ცხოვრებაში იწყე-



ნიკოლოზ ოსტროვსკი

ბა უვლავზე მძიმე წუთები. ბოლშევიკი მწერალი მანქანის ავარიაში მოხვედრის გამო ღოვინად ვარდება, ორივე თვალით ბრმავდება, მაგრამ ოსტროვსკი სულიერად არ ეცემა. იგი ქმნის წიგნს „როგორ იწრთობოდა ფოლადი“, რომელიც საბჭოთა ლიტერატურის ოქროს ფონდში შევიდა.

შემდეგ ნიკოლოზ ოსტროვსკიმ დაწერა მეორე წიგნი „ქარიშხლით შობილნი“, მაგრამ მებრძოლ პოეტს ეს როდი აკმაყოფილებდა.


— მე გული მტკიავ, — წერდა იგი ლენინის ორდენით დაჯილდოებისას, — როცა ვფიქრობ იმაზე, რომ ფაშისმთან უკანასკნელ ბრძოლებში ვერ შევიძლებ მებრძოლთა რიგებში ჩემი ადგილის დაქერას.

ოსტროვსკიმ დაიკავა თავისი ადგილი საბჭოთა ხალხის ბრძოლაში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. დიდი სამამულო ომის წლებში საბჭოთა მეომრები გატაცებით კითხულობდნენ ოსტროვსკის წიგნს „როგორ იწრთობოდა ფოლადი“. ოსტროვსკი-კორჩაგინის სიმამაცე, ნებისყოფის სიმტკიცე, შრომისმოყვარეობა ალაფრთოვანებდა საბჭოთა მეომრებს სამშობლოსათვის ბრძოლის წმიდა საქმეში.

ოსტროვსკი, ისე როგორც მისი რომანის გმირი პავლე კორჩაგინი, კვლავ ცოცხლობს. ისინი ჩვენთან არიან კომუნისმის დაიდ მშენებლობებზე, ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მიწდგრებზე, ოსტროვსკი გვეხმარება ახალგაზრდობის კომუნისტურ სულიკვეთებით აღზრდაში.

ფარსადან თოფურიძე

სამგორზე იორი მოედინება



ასრულდა ჩვენი ხალხის დიდი ხნის ოცნება: სამგორზე უკვე იორი მოედინება და მშვილით ეშვება თბილისის წყალსაცავში. სწრაფია ივრის წყალი, არხი წამში 13 კუბურ მეტრ წყალს ატარებს, მაგრამ იმდენად დიდი და გაუმძღარია თბილისის წყალსაცავი, რომ იორს მის ასაღებად 18 თვე დასჭირდება. მალე თბილისს ექნება „ზღვა“, საიდანაც არხებით გასული წყალი თბილისის სამხრეთ-აღმოსავლეთითა და ჩრდილო-დასავლეთით მიწის დიდ ფართობებს მორწყავს. თბილისის წყალსაცავში ივრის წყლის ჩაშვება ჩვენი ხალხის დიდი გამარჯვებაა, ეს გამარჯვება შეუპოვარი შრომით არის მოპოვებული.

სამგორის ველების მორწყვა ჯერ კიდევ ძველ დროში უცდიათ.

ერეკლე მეორის დროს დაუწყიათ კიდევ მუშაობა არხის გასაყვანად, მაგრამ მაშინ ადამიანი არ იყო აღჭურვილი ბუნებასთან ბრძოლის საკმარისი ცოდნითა და საშუალებებით, და ამ მუშაობას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

სამგორის შიშველ ველებს დიდი სივრცე უკავია. მოსავლიანობისათვის ნიადაგი აქ ხელსაყრელია, მაგრამ უწყლობისა და ცხელი ქარების გამო სავსებით უსიცოცხლო და გამომშრალი იყო. სამგორის ველების მშრალი, უმცენარო სივრცე თბილისის ჰავაზეც ახდენდა გავლენას.

საბჭოთა ხელისუფლებამ ამოცანად დაისახა აემწვანებინა, სიცოცხლით აევსო სამგორის გაუდაბნობებული ველები. ჯერ კიდევ სამამულო ომამდე დაიწყეს მუშაობა სამგორის არხის გასაყვანად, მაგრამ ომის გამო დროებით შეწყდა ეს დიდმნიშვნელოვანი წამოწყება.

საბჭოთა ხალხის მიერ დიდი სამამულო ომის ძღვევამოსილად დამთავრების შემდეგ დაიწყო კომუნისტური დიდი მშენებლობები. სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა ახალ ხუთწლედში შეტანილ იქნა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის პირადი მითითებით.

წყურვილისაგან დამსკდარი, ქარის სათარემოდ ქცეული მიწა მუშებითა და მანქანებით მოიფინა, გამოცოცხლდა.

მიწა ჯერ გაკერპდა, გაჯიუტდა, მაგრამ ბოლოს გატყდა. მასზე თანდათან გამოისახა არხი, რომელიც დღითიდღე გრძელდებოდა, განიერდებოდა და ღრმავდებოდა. ბოლოს, საბჭოთა ადამიანების შეუპოვარი მუშაობის მეოხებით, მან თავისი ნამდვილი სახე მიიღო — ბეტონით შეკრული სამგორის არხი ივრიდან მლაშე ტბებამდე გაიჭიმა.

სამგორის სარწყავი სისტემა შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: 1) სათავე ნაგებობა, სადაც კაშხალების დახმარებით ივრის წყალი არხში იჭრება; 2) შემო მაგისტრალური არხი, რომელიც მდინარე ივრიდან „მოტაცებულ“ წყალს მლაშე ტბებისაკენ მოაქანებს „თბილისის ზღვის“ შესაქმნელად, წყლის ნაწილს კი გზადაგზა მოსარწყავად უნაწილებს მინდვრებს; 3) თბილისის წყალსაცავი, რომელსაც „თბილისის ზღვას“ უწოდებენ. აქ, მლაშე ტბების მიდამოებში, ბუნებრივი რაფობია გაჩენილი, რომელიც „თბილისის ზოვისათვის“ ხელსაყრელ აუზს წარმოადგენს. ზემო მაგისტრალური არხით მოსული ივრის წყალი აქ გუბდება; 4) ქვემო მაგისტრალური არხი, რომლის გაყვანა ჯერ არ არის დამთავრებული. 18 თვის შემდეგ, როცა მლაშე ტბების მიდამოები აივსება ივრის წყლით და თბილისთან გაჩნდება „ზღვა“, ქვემო მა-

გისტრალური არხი ამ „ზღვიდან“ წყალს გაუშვებს ყარაიას ველებსაკენ.

სამგორის არხის სათავე ნაგებობა მდ. იორში ძევს. ივრის მთელ სიგანეზე რკინა-ბეტონის ზღუდეა აგებული, რომელსაც კაშხალი ეწოდება. კაშხალის კედელში ოთხი უზარმაზარი ფოლადის კარია დატანებული. მათ ფარები ეწოდება, რომელთა საშუალებით შეგვიძლია ივრის წყალი ან სულ შევწყვიტოთ კაშხლის იქით, ან მხოლოდ მისი ნაწილი გავატაროთ.

ამ კაშხალის წინ იორი ვრცელ ფართობზეა დაგუბებული.

მეორე ასეთივე კაშხალი დაგუბებულ იორს გვერდიდანაც აქვს. ამ კაშხალის ფოლადის ფარების გახსნისას ივრის დაგუბებული წყალი ზედა მაგისტრალურ არხში შემოდის.

ორივე კაშხალზე ფარები ელექტრომობტორებისა და სპეციალური მექანიზმების საშუალებით იხსნება და იხურება.

ბუნებას არ სურდა აოამიანს დამორჩილებოდა. მთელი გზა, რომელიც სამგორის არხს უნდა გაევიღო, მთებითა და ხეობითაა დაფარული. მაგრამ სამგორელი მშენებ-

ლები მათთან ბრძოლაში გამარჯვებულნი დარჩნენ. იქ, სადაც არხს მალაღობები ელოებოდა, სამგორელმა მშენებლებმა რაბები და „დერეფნები“ გათხარეს და მთაში გაიყვანეს არხი. არხის სათავიდან თბილისის წყალსაცავამდე რამოდენიმე გვირაბია.

არც ღრმა ხევეს შეუშინდნენ სამგორის მშენებლები. სადაც მათ ასეთი ხევეები გადაელობათ, მშენებლებმა ხერხს მიმართეს: არხის კალაპოტი შეწყვიტეს და ხევეებზე წყალი სპეციალური მილებიანი ხიდებით—დიუქერებითა და აკვედუქებით—გადაატარეს.

ექვს ადგილას გადაელობა ზედა მაგისტრალურ არხს ხევეები და ექვსივე ადგილას წყალმა მილებიანი ხიდებით — დიუქერებითა და აკვედუქებით—გადალახა ეს დაბრკოლებები. ეს არხი მთელ თავის სიგრძეზე მორწყავს 18000 ჰექტარ მიწას და ამას გარდა განუწყვეტლივ მიაწვდის წყალს „თბილისის ზღვას“.


ზედა მაგისტრალურ არხს ზოგ ადგილას ძალიან დიდი დაღმართი აქვს, სადაც წყალი თითქმის ჩანჩქერის მსგავსად ვარდება.

ასეთ ადგილებში წყალს, ცხალია, დიდი ძალა აქვს და ჰიდროელექტროსადგურები აიგება.

ზემო მაგისტრალური არხის ჩრდილოეთით მდებარე მიდამოების მოსარწყავად არხს დამატებითი შტო სცილდება, რომელსაც ლილო-მარტყოფის არხი ეწოდება. ამ შტოთი მოირწყება საცხენისის, ახალსოფლის, მარტყოფის, ნორიოსა და პატარა ლილოს 4000 ჰექტარზე მეტი მიწა. დასასრულ. მისი წყალი ქვიანი ხევით თბილისის წყალსაცავში ჩაიღვრება.

თბილისის წყალსაცავიდან წყალი ქვედა მაგისტრალურ არხში შეიჭრება, გვერდს აუვლის ვაზიანს და გზას განაგრძობს ყარაიასაკენ. იგი მთელ თავის სიგრძეზე მორწყავს 21 ათასზე მეტ ჰექტარ ნათესებს.

თბილისის ჩრდილოეთით მდებარე ავჭალა-გლდანის მიდამოების მოსარწყავად „თბილისის ზღვის“ ჩრდილოეთ ნაწილიდან ახლო მომავალში არხი გაიყვანება, რომელსაც ავჭალა-გლდანის



სამგორის მაგისტრალური არხის ერთ-ერთი დიდი დაღმართი: წყალი ჩანჩქერის მსგავსად ვარდება.

არხი ეწოდება. ეს არხი მორწყავს 500-ზე მეტ ჰექტარ მიწას.

„თბილისის ზღვის“ იმავე ნაწილიდან მეორე დამატებითი—ღრმადელის არხის გაყვანაცაა გათვალისწინებული, რომელიც მორწყავს მახათისა და სხვა მთების ფერდობებს ღრმადელიდან ნავთლულამდე.

უფრო ამწვანდება, უფრო დამწვანდება თბილისი. „თბილისის ზღვაზე“ მოეწყობა ნაგებობები მიმოსვლა და მის ირგვლივ გაშენდება აგარაკები.

სამგორის სარწყავი სისტემის პროექტა ქართველ ინჟინრებს ეკუთვნით.

4 ნოემბერს გაიხსნა სამგორის სარწყავი სისტემის ზემო მაგისტრალური არხი. იყო სახალხო ზეიმი. ამ დღეს მლაშეების მიდამოებში 150 ათასამდე ადამიანმა მოიყარა თავი. ივრის წყლის გამოჩენას ვაშათი და ტაშით შეეგება ხალხი. პიონერებმა და მოსწავლეებმა თბილისის წყალსაცავში გადაშვებულ ივრის პირველ ტალღებს თაიგულები დააყარეს.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა სამგორის სარწყავ სისტემას დიდი სტალინის სახელი მიაკუთვნა.

ინჟინერი **მ. ჩხილაძე**



ქართული ხალხური ანდაზები

1. ადრე ამდგომსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწვეარი.
2. ავი შვილი დედ-მამის მაგინებელია.
3. ავი ძალი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აკმევსო.
4. ათჯერ გაზომე და ერთხელ მოსჭერი.
5. ანწლი არ მოგცემს ყურძენსა.
6. არ გათეთრდება ყორანი, რა გინდ, რომ ხეხო ქვიშითა.
7. არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.
8. აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია.
9. ახალგაზრდობით მოგებულ სიბერის დროს ხმალია.
10. ახალი ცოცხი კარგად გვის, ძველი მოატანს ქვიშასა.
11. ბედაურებს სჰედავდნენ და ბაყაყმაც უფხი ააშვირაო.
12. გადადებული საქმე არ ვარგა.
13. გარჯილობასა მოჭჳონდა საწუთრო დაულეველი.
14. დაგრდომილს წიხლი კი არა, შველა უნდაო.
15. დედის პირი რომ იწყევლება, ძუძუები ილოცებიანო.
16. დროზე მთესველი დროზე მოიმკის.
17. ერთი გადახტომით მწყერი არავის დაუჭერია.
18. ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო.
19. ერთი კაცი ჰურის ჭამაშიაც ბრალიაო.
20. ვარდი უეკლოდ არავის დაუჭრეფია.





მოგზაურები

სულ ღიმილით დაიარეს
მშობლიური სერები,
დაჰხაროდათ ცის ლაჟვარდი
ზღაპრულ მშვენიერებით,
იის ფერით,
ვარდის ფერით
და კიდევ სხვა ფერებით.

მთა, ღრუბელთა ქონგურები
თვალწარმტაცად ნაშენი,
ტყის ფოთოლთა ფანდურები
სიმღერით და ტაშებით
თვალს ხიბლავდნენ, გულს აღზენდნენ
მზეზე მოკაშკაშენი.

რა საამოდ შრიალებდნენ
ოქროსფერი ყანები,
ამაყობდნენ სიმინდები
თავის ახოვანებით,
ამ სიმდიდრეს შეხედავდი
მხოლოდ აღფრთოვანებით!

როცა სამგორს გადახედეს,
მის უსაზღვრო ტრამალებს,
ყმაწვილებმა განცვიფრება
გულში ველარ დამალეს,
თქვეს: „ვიართო, მაგრამ ამ გზას
რა გაივლის, რა გალევს!“

შორს იორი იმღეროდა
კაცის გულგასახარად:
— ზღვას გავაჩენ, თბილისის ზღვას,
საამოს და ანკარას,
რომ ხვალ მიწა გადაიქცეს
ხავერდოვან ბალნარად!

დაიარეს საქართველოს
საყვარელი მთა-ბარი,
მოისმინეს ბევრი სიბრძნე,
ბევრი კარგი ზღაპარი,
ბეთანიას და ვარძიას
ინახულეს თამარი*.

ბევრი ძველი და ახალი
ნახეს ჩვენმა ბიჭებმა,
ზეიმს ჰგავდა თვითეული
ფეხის გადაბიჯება,
და მათ გულში ახლის გრძნობა
მზიურ ადგილს იჭერდა.

ამშვიდებდათ ყმაწვილური
აზრის გასხივოსნება,
მათ სურვილებს იტაცებდა,
როგორც ლალი ოცნება,
ჩუქურთმების ხელოვნება,
მხატვრის პატიოსნება.

სულ ღიმილით დაიარეს
საქართველოს სერები...
დღეს სურათებს გვიხატავენ
ზღაპრულ მშვენიერებით,—
იის ფერით,
ვარდის ფერით
და კიდევ სხვა ფერებით!

ა. მნელი

* იგულისხმება ბეთანიასა და ვარძიაში დაცული
თამარ მეფის სურათი (ფრესკა).



სოფრომ მგალობლიშვილი

როგორც საბავშვო მწერალი



ქართული ხალხოსნური ლიტერატურის გამოჩენილი წარმომადგენელი სოფრომ მგალობლიშვილი განსაკუთრებული ინტერესითა და გულისხმიერებით ეკიდებოდა ბავშვებისათვის წერას. მას ეკუთვნის საბავშვო მოთხრობები: „ყაყიტას ქურდი“, „თინიას გიშერა“, „მელია“, „სიყმაწვილის მოგონებანი“, („მწყერობა“, „ტყეში“, „ალარ შემიძლიან“), „პირველი სისხლი“ და „უკვდავების წყარო“.

საბავშვო მოთხრობათა ციკლს შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე მისი ღიბი სათავგადასავლო ნაწარმოები „წარსულიდან“. ეს მოთხრობები ღრმა სოციალური მოტივებით ხასიათდება. ბევრი მათგანი სახელმძღვანელოებშიც შედიოდა და ამით ხელს უწყობდა მოსწავლე ახალგაზრდობის გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური განვითარების საქმეს.

სოფრომ მგალობლიშვილის საბავშვო მოთხრობების ძირითადი თემა იგივეა, რაც საერთოდ მისი მხატვრული შემოქმედებისა — გლეხების ყოფა-ცხოვრება და ბუნება.

ღვიძლი შვილივით უვლის თავის სიმინდს მოხუცი ყაყიტა. მის თვალს ახარებს უხვა დატარებული, მოღალანე ღეროები, საამურად უტოკებს მას გულს ყოველი ძირის ოქროს ქოჩორი და სმენას უტკბობს მათი ფოთლების ნელი შრიალი.

ყაყიტა იოლად არ შეუთრიგდება სიმინდის წახდენას ან უნდელი ტაროების მომტრევისა და, მით უმეტეს, ვინმეს მიერ მათ მითვისებას, მოპარვას. და როცა ამ პატიოსანმა მშრომელმა გლეხმა ერთხელ თავისი სიმინდის პატარა ქურდი აღმოაჩინა, ის არ მოერიდა მის მხილებას და ქურდობის დამადასტურებელი ნივთიერი საბუთით წარსდგა მისი მშობლების წინაშე. ყაყიტას ყანის ქურდი, მშობელთაგან შერისხული ცელქი

ბიჭი ეფრემი, ღრმად განიცდის თავის დანაშაულს და ტირილით უნდა მოინანიოს იგი. ამ მოთხრობით ავტორი აფრთხილებს ბავშვებს — არ აპყვენენ ქვენა გრძნობებს, თავი შეიკავონ ისეთი „ბრიყვული“ საქციელისაგან, როგორცაა სხვისი ნივთის მითვისება.


1905 წლის რევოლუციას სოფრომ მგალობლიშვილი სიხარულით შეეგება და კიდევ ასახა იგი თავის ნაწერებში. ამ თემას მიუძღვნა მან ერთ-ერთი საბავშვო მოთხრობა „პირველი სისხლი“. ეს ნაწარმოები ხელს უწყობდა ბავშვების აღზრდას ერთობისა და თავისუფლების სულისკვეთებით.



სოფრომ მგალობლიშვილი

ბუნება სოფრომ მგალობლიშვილის საბავშვო მოთხრობების საყვარელი თემაა. მწერალი ცდილობს თავისი კაზმული სიტყვით შეაყვაროს ბავშვებს ბუნების წიადი, ჩაუნერგოს მცენარის სიყვარული და მასთან მეგობრობის სიყვარული.

შინაურ ცხოველებთან ბავშვთა მეგობრობისა და მათზე მზრუნველობის იშვიათ მაგალითს გვაძლევს სოფრომ მგალობლიშვილი პატარა მოთხრობაში „თინიას გიშერა“. სიღარიბეში დაბადებული ობოლი გოგონა თინია მხოლოდ ერთ პატარა დეკეულს — საყვარელ გიშერას შეცქერის, უვლის, თავს ევლებს, ნამიან ღიჟა-ბალახს არ აკლებს. ერთ ბედში არიან მალხაზა თინია და მისი კუნტრუშა მეგობარი. ორივე ობოლია: თინიას დედ-მამა საოფლემ დაუხოცა, გიშერას კი ჭირმა. თინიას პატრონობს მოხუცი პაპა, გიშერას კი ეს შავგვრემანი და ცქვიტი გოგონა. არსებითად კი პაპა-შვილიშვილს სოფელი პატრონობს, ის ინახავს. მათ თითქოს საფრთხე აღარ ელთა, მაგრამ გიშერას კი ორმხრივ მისდგომია იგი მამასახლისისა და ჭირის სახით. მამასახლისი იმუქრება: თუ თინიას პაპა დაგვიანებულ გადასახადს არ შეიტანს, გიშერას გამოიყვანს ბაკიდან და



გაყიდის, საქონლის ჭირი კი სიყვედილით ემუქრება თინიას ერთგულ, „ყურჭივით შავ“ გიშერას. ჭირმა დაასწრო. მან „გიშერასაც შიავნო და მოსწყვიტა იგი დობილს გულიდან“. პატარა მკითხველები განიცდიან თინიას აუტანელ მწუხარებას, ესმით მისი ქვითინი და თანაუგრძობენ ობოლ გოგონას.

მაღალი მხატვრული ღირსებითა და იდეურობით ხასიათდება მოთხრობები „მწყერაობა“ და „ტყეში“. ამ მოთხრობებში ცხოვლად არის დახატული ბუნების გამოლვიძება, მისი წარმტაცი სურათები.

ავტორი გზადგზა ზღაპრის ძალასაც მიმართავს ბავშვების აღმზრდელითი მიზნისათვის. გმირული ეპოსის ერთ მაგალითზე მკითხველში ზრდის იგი ქვეყნისათვის თავდადების გრძნობას, აყვარებს ბავშვებს სახალხო საქმეს, უნერგავს მათ მოხუცის პატვისცემას, ურთიერთდახმარებისა და მეგობრობის გრძნობას.

სოფრომ მაგლობლიშვილის მოთხრობა „აღარ შემიძლიან“ ძველი სკოლისა და სწავლების რეჟიმის თემას ეხება. თხუთმეტეექვსმეტე წლის მოწაფე ვეღარ უძლებს ამ რეჟიმს. როზგი, თმის გლეჯა, დაჩოქება ჯოჯოხეთად ზდის მისთვის იმ სკოლას, რომელშიც ის სინარულით შევიდა. ეს მოწაფე არ არის ზარმაცი და უქნარა. არა, ის შეგნებული ყმაწვილია, ესმის, რომ სწავლა-განათლება საჭიროა, მაგრამ აღარ შეუძლია სკოლაში დარჩენა უხემ და ადამიანურ იერს მოკლებულ მასწავლებელთა ხელში. მხოლოდ ოთხფეხი ცხოველი, ძაღლი, აქცევს მას ყურადღებას, უთანაგრძნობს, ეალერსება და უმსუბუქებს ადამიანისაგან მიყენებულ ტკივილსა და შეურაცხყოფას. „დახე, დედა, რამდენად სჯობნებულა პირუტყვი ადამიანს“—წერს იგი თავის დედას და სთხოვს არ გაამტყუნოს სკოლის მიტოვების გადაწყვეტილებაში.

ავტობიოგრაფიულ მოთხრობაში „წარსულიდან“ მწერალი ეხება მე-19 საუკუნის 50-იან და 60-იან წლებს. აქ იგი ვრცლად და დამაინტერესებლად წარმოგვიდგენს სოფლის მშრომელ გლეხობას, მათ შრომას, ფიქრებს და იმ სოციალურ მოძრაობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 50-იანი წლების სოფელში.

ამავე მოთხრობაში სოფრომ მაგლობლიშვილი გადმოგვცემს 60-იანი წლების გორის სასულიერო სასწავლებლისა და თბილისის სასულიერო სემინარიის ცხოვრების სიმანინჯეს. სწორედ ამ სემინარიის შესახებ აღნი-

შნავს ამხანაგი სტალინი, რომ საქონლი ჰქონდა ისეთ დამამცირებელ და იეზუიტურ მეთოდებს, რაგორც იყავა „თვალყურის დევნება, ჯაშუშობა, სულში ჩაძრომა, აბუჩად აგდება“*.

მარტო სიმანინჯით არ ამოიწურებოდა ძველ სასწავლებელთა ცხოვრება: წყვლიადით მოცულ მათ ცაზე იშვიათად მაინც ჩნდებოდნენ კარგი, თავისი მაღალი დანიშნულების შესაფერისი, მომზადებული და სახალხო საქმისათვის თავდადებული მასწავლებლები. მათი მეოხებით მოწაფეთა მცირეოდენი რიცხვი მაინც წესიერად სწავლობდა, გზას იკვლევდა, ქვეყნის მომავალზე ფიქრობდა. სოფრომ მაგლობლიშვილის დიდტილოზზე ასეთებიც არიან აღბეჭდილი. პირველ ყოვლისა ამ მოთხრობაში მან რამდენიმე სტრუქტურით აგვისახა დიდი ქართველი პედაგოგი და საბავშვო მწერალი იაკობ გოგებაშვილი, რომელიც თბილისის სემინარიისთან არსებული სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი და ინსპექტორი იყო იმ დროს, როცა სოფრომ მაგლობლიშვილი ამ სემინარიაში სწავლობდა. მართალია, იაკობ გოგებაშვილის გვარი აქ მოხსენებული არ არის, მაგრამ სხვა ნიშნების მიხედვით ადვილია მიხვედრა, რომ სწორედ მასზეა ლაპარაკი.

არც სხვა კარგ მოწაფეებს იფიქვებს სოფრომ მაგლობლიშვილი. აი, შაქრო გეგელაშვილი (ავტობიოგრაფიკი, მთავარი გმირი აღნიშნული მოთხრობისა), იოსები (მომავალი მწერალი იოსებ ბაქრაძე), ნიკო (მომავალი მწერალი ნიკო ლომოური), შიო (მომავალი ხალხოსანი შიო დავითაშვილი) და წარჩინებული სწავლისა და ყოფაქცევის, ნათელი აზრებოსა და მიზნების სხვა ახალგაზრდები, რომლებიც სემინარიაშივე გაიმსჭვალნენ ქართველი ხალხის მგზნებარე სიყვარულით და მისი ინტერესებისათვის თავდადებული სამსახურის გრძნობით.

სოფრომ მაგლობლიშვილის მოთხრობები პატარა მკითხველებს უღვივებენ შრომისმოყვარეობას და მშრომელთა პატივისცემას, აცნობენ და აყვარებენ სამშობლო მხარეს, მის ხალხს, ბუნებას, უნერგავენ მისწრაფებას სწავლა-განათლებისაკენ. ეს არის ს. მაგლობლიშვილის მხატვრული შემოქმედების აღმზრდელითი დანიშნულება.

პროფ. ბ. თაყვიშვილი

* ამხანაგ სტალინის საუბრიდან გერმანელ მწერალ ემილ ლუდვიგთან.

დიდი ქიმიკოსი



1836 წელს ყაზანის ტოპოგის კერძო პანსიონში მიაბარეს ქალაქ ჩისტოპოლიდან ჩამოსული ბიჭი. იგი რვა წლის იქნებოდა. ყმაწვილმა მეცადინეობის დაწყებიდანვე გამოიჩინა სწავლის დიდი სიყვარული და უნარი. ცოტა რომ წამოიზარდა, ნიჭიერი ბავშვი განსაკუთრებით გაიტაცა ქიმიამ. იგი გულმოდგინებით ატარებდა ქიმიურ ცდებს, თუმცა ასეთი მუშაობის ჩატარება პანსიონის ხელმძღვანელობის მიერ აკრძალული იყო. ქიმიურ ცდებს ყმაწვილი ხშირად პანსიონის სარდაფში ატარებდა, რასაკვირველია, ფარულად. ამგვარად ჩატარებული მუშაობა ზოგიერთ შემთხვევაში მარცხით მთავრდებოდა. მას ყოველნაირად უშლიდა ხელს აღმზრდელი, რომელიც ნორჩ ქიმიკოსს ხშირად ართმევდა შუშებსა და ქილებს, აყენებდა კუთხეში, უსადილოდ ტოვებდა. ნიჭიერ ბავშვს არც ფიზიკის მასწავლებელი მფარველობდა.

გაზაფხულის ერთ საღამოს, როცა მოსწავლეები ეზოში ჩოგანბურთს თამაშობდნენ და აღმზრდელი მზეზე თვლემდა, მოულოდნელად სარდაფიდან აფეთქების გამაყრუებელი ხმა მოისმა. აღმზრდელი უმალ გამოფხიზლდა და ვეფხვის ნახტომით სარდაფში გაჩნდა. ცოტა ხნის შემდეგ მან სარდაფიდან ამოათრია ნორჩი ქიმიკოსი, რომელსაც თმა და წარბები შეტრუსული ჰქონდა. ცხადი

იყო, ყმაწვილს ქიმიური ცდების დროს რაღაც აუფეთქდა.

პედაგოგიურმა საბჭომ პატარა ქიმიკოსისათვის ასეთი სასჯელი მოიგონა: ყმაწვილი დაამწყვდიეს, ხოლო დღეში ორჯერ—საუხმისა და სადილობის დროს—გამოყავდათ საერთო სასადილოში და ყველას დასანახად კუთხეში აჩერებდნენ. გულზე ჩანოკიდებული ჰქონდა შავი დაფა დამცინავი წარწერით: „დიდი ქიმიკოსი“.

აი, როგორ აუტანელ პირობებში უხდებოდა სწავლა მეცნიერების საფუძვლების და უფლების უშრეტი წყურვილით გატაცებულ ყმაწვილს. პანსიონის უმეცარმა და უსულგულო „აღმზრდელმა“, ნაცვლად დახმარებისა, დასაჯეს უიგი, სასტიკი დამციარებისა და გესლიანი დაცივნის ნიშნად „დიდი ქიმიკოსი“ უწოდეს, მაგრამ უსულგულო აღმზრდელები სასტიკად მოტყუვდნენ. მათი დამცინავი, გესლიანი სიტყვები „დიდი ქიმიკოსი“ მათდა უნებლიეთ წინასწარმეტყველებად იქცა. ყმაწვილი მართლაც თავისი ქვეყნის დიდი პატრიოტი და მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერი გახდა.

ეს ყმაწვილი იყო მომავალი დიდი ქიმიკოსი—თანამედროვე ორგანული ქიმიის ფუძემდებელი, ორგანული ნაერთების აგებულების თეორიის შემოქმედი ალექსანდრე მიხეილის ძე ბუტლეროვი.

3. გეგუჩაი



კუნძული ტაივანი



კუნძული ტაივანი (ანუ ფორმოზა) მდებარეობს აზიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, წყნარ ოკეანეში. იგი პესკადორის (პერხულელაოს) კუნძულებთან ერთად ჩინეთს ეკუთვნის.

კუნძული ტაივანი გადაჭიმულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. კუნძულის სიგრძე 400 კმ უდრის, ხოლო უდიდესი სიგანე — 150 კმ. კუნძულ ტაივანის ფართობი თითქმის 36.000 კვ კმ უდრის. ტაივანი გამოყოფილია ჩინეთიდან ფორმოზის სრუტით.

კუნძულის ჩრდილოეთით აღმართულია

ვულკანური წარმოშობის მწვერვალები: ნიიტაკა, მუტოსანი და სანშიაკუ. კუნძულის ღერძის გასწვრივ გაჭიმულ ქედს ტაივანის ქედი ეწოდება.

ტაივანზე ხშირია მიწისძვრები. ძლიერი მიწისძვრა მოხდა 1935 წელს, რომელმაც 55.000 შენობა დააზიანა.

კუნძულის კლიმატი ტროპიკული ხასიათისაა. აქ ტემპერატურა ნულ გრადუსზე დაბლა იშვიათად ეშვება. ასეთი ტემპერატურული პირობების გამო ტაივანზე სწრაფად მწიფდება სა-


სოფლო - სამეურნეო კულტურები. მაგალითად, წელიწადში ბრინჯი ორ მოსავალს იძლევა, იმავე ფართობებზე ხშირად მესამე მოსავლად მოყავთ ბოსტნეული.

ტაივანი წყნარი ოკეანისათვის დამახასიათებელ ტაიფუნების რაიონში მდებარეობს. უკანასკნელნი წელიწადში 6-ჯერ მეორდება და განსაკუთრებით ივლის-სექტემბრის პერიოდისათვისაა დამახასიათებელი.

კუნძულ ტაივანის მდინარეებს სათავეები მარალ მთებში აქვთ და ამიტომ მათი დინება საკმაოდ სწრაფია.

სუბტროპიკული ტყეები გაუვალია, რადგან ისინი გადახლართულია ლიანებით. ამ ტყეებს კუნძულის დიდი ფართობი უჭირავს.

სასოფლო-სამეურნეო კულტურები-



დან აღსანიშნავია ბრინჯი, შაქრის ლერწამი, ჩაი, ბატატი (ტკბილი კარტოფილი), ბანანი, მიწის თხილი (არაქისი), ანანასი, ფინიკის ქლიავი, აგრეთვე ხორბალი, ქერი, ფეტვი და სხვ.

ტაივანზე გარეული ცხოველებიდან გვხვდება ირემი, შავი დათვი, გარეული ღორი, მელა, ციყვი, გარეული კატა და სხ. ტროპიკული ცხოველებიდან აქ არის ჯოჯო და მფრინავი ძაღლი.

წიაღისეული სიმდიდრეებიდან აღსანიშნავია ქვანახშირი, ნავთი, ოქრო, სპილენძი და ქვამარილი.

ტაივანზე 6,5 მილიონი მცხოვრებია. მოსახლეობის 98 პროცენტს ჩინელები შეადგენენ.

მოსახლეობის უმეტესობა სოფლად ცხოვრობს.

ტაივანი აგრარული ქვეყანაა. სოფლის მეურნეობაში მთავარი ადგილი უკავია ბრინჯსა და შაქრის ლერწამს. აშენებენ აგრეთვე ჩაის, ციტრუსებს, ჯუთს, ტკბილ კარტოფილს და სხ. მიუხედავად იმისა, რომ იაპონელებმა გაანადგურეს ქაფურის ტყეები, ქაფურის ზეთის მიღებაში ტაივანს მსოფლიო მონობოლია ეკუთვნის.

ტაივანზე წარმოებს ოქროსა და ქვანახშირის მოპოვება, კუნძულის სანაპიროზე განვითარებულია მეთევზეობა. ტაივანის იმპორტის მთავარი საგნებია სასუქები, აბრეშუმი და ბამბის ქსოვილები. სატრანსპორტოდ დიდი გამოყენება აქვს ზღვას. მთავარი ნავსადგურებია: ცზილუნი (კირუნი), გაოსუნი და ტაილუნი.

ქალაქებიდან აღსანიშნავია ტაიბეი (350000 მცხოვრები), ტაინანი (140000 მცხ.), გაოსუნი (125000 მცხ.) და ცზილუნი (100000 მცხ.).

კუნძულის რკინიგზის ქსელის სიგრძე 1550 კმ-ია. გარდა ამისა, აქ 2000 კმ სიგრძის ვიწროლიანდაგიანი რკინიგზაა გაყვანილი, რომელიც ემსახურება შაქრის ლერწმის გადმოზიდვას ქარხნებში. რკინიგზებთან ერთად კუნძულზე არის გზატკეცილებიც.

ევროპელთ შორის პორტუგალიელები იყვნენ პირველნი, რომლებიც 1590 წელს ესტუმრნენ ტაივანს. სწორედ მათ უწოდეს კუნძულს ფორმოზა, ანუ „მშვენიერი“. მე-17 საუკუნის განმავლობაში კუნძული ტაივანი არა ერთხელ გამხდარა კაპიტალისტური ქვეყნების დარბევის ასპარეზად.

1624 წელს ჰოლანდიელები ცდილობდნენ

დასახლებულიყვნენ ტაივანზე, მაგრამ ჩინელებმა განდევნეს ისინი კუნძულიდან.

1874 წლიდან იაპონელები დაპყრობით ომს აწარმოებდნენ ჩინეთის წინააღმდეგ, და 1895 წელს ჩინეთი აიძულეს. კუნძული ტაივანი იაპონიისათვის გადაეცა. იაპონიაზე კუნძულის გადაცემამ გამოიწვია ტაივანელთა პატრიოტული მოძრაობა, რის შედეგად ტაივანმა თავისი თავი დამოუკიდებელ სახალხო რესპუბლიკად გამოაცხადა.

რთვის განმავლობაში გმირულად იბრძოდნენ ტაივანის მცხოვრებლები იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში დამარცხდნენ. სახალხო მოძრაობა იაპონელი აგრესორების წინააღმდეგ მაინც არ წყდებოდა. ამას ამტკიცებს ის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობები, რომელთაც ადგილი ჰქონდა 1912, 1915, 1924, 1925 და 1930 წლების განმავლობაში.

1945 წლის 2 სექტემბერს, როდესაც იაპონიამ ხელი მოაწერა უსიტყვო კაპიტულაციას, ტაივანი ჩინეთს დაუბრუნდა; ჩინელებმა იაპონელებისაგან გაწმინდეს კუნძული. მაგრამ 1950 წლის ივნისში ტაივანზე შეიჭრნენ ამერიკის აგრესიული ჯარები და დაიპყრეს იგი.

ამერიკელ აგრესორებს სურთ გამოიყენონ ტაივანი როგორც პლაცდარმი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ.

ამერიკის შეერთებული შტატები ქმნიან სამხედრო გარემოცვას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მიმართ და ამზადებენ მესამე მსოფლიო ომს.

ჩინეთის სახალხო არმიის გამარჯვების შემდეგ ამერიკელები ყოველ ღონეს ხმარობენ დახმარება გაუწიონ რეაქციულ გომინდანის ნარჩენებს. ეს ნარჩენები კუნძულ ტაივანს არიან შეფარებული. მაგრამ გამარჯვებულ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ვერავითარი ბნელი ძალა ვერ დასძლევს. ჩინელი ხალხი თავის ქვეყანაში აშენებს სოციალიზმს საბჭოთა კავშირის მაგალითის მიხედვით და საბჭოთა კავშირის ხალხთა მძლავრი მხარდაჭერით.

კუნძული ტაივანი ჩინეთის განუყოფელი ნაწილია და 493 მილიონიანი ჩინელი ხალხი მას არ დაანებებს იმპერიალისტ აგრესორებს.

მოწინავე კაცობრიობა ხმას იმაღლებს, რათა ტაივანი ჩინეთს დაუბრუნდეს.

რ. პაპრაიუპილი

პაუდ კერესი — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი

მოსკოვში, საბჭოების სექტებიან დარბაზში 34 დღის შეუპოვარი და დაძაბული ბრძოლის შემდეგ დამთავრდა ჩვენი ქვეყნის 17 უძლიერესი მოჭადრაკის ასპარეზობა.


ტურნირმა ჭადრაკის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია. ყველას აინტერესებდა რით დამთავრდებოდა მსოფლიოში ცნობილი გროსმაისტერებისა და ახალგაზრდა ოსტატების შერკინება. მართლაც, ახალგაზრდობამ დიდი უნარი და ნიჭი გამოამჟღავნა პირველობისათვის ბრძოლაში. სახელოვან გროსმაისტერებიდან მხოლოდ ესტონელმა პ. კერესმა შეძლო ოსტატების მედგარი თამაშის დაძლევა და კიდევაც მოიპოვა სსრ კავშირის 1951 წლის ჩემპიონის საპატიო ტიტული.

მოსკოვის ჩემპიონმა 22 წლის ტ. პეტროსიანმა, რომელმაც საჭადრაკო „ნათლობა“ ჯერ კიდევ თბილისის ბერიას სახელობის პიონერთა სასახლეში მიიღო, ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტ ე. გელერთან გაიყო II-III ადგილი. ამრიგად მათ გაუსწრეს მსოფლიოს ჩემპიონ მ. ბოტვინიკს, გროსმაისტერებს დ. ბრონ-

შტეინს, ე. სმისლოვს, ა. კოტოვს... აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ დანარჩენმა ახალგაზრდა ოსტატებმა მიაღწიეს მაღალ სპორტულ შედეგებს. ასე მაგალითად, ოსტატმა ნ. კოპილოვმა დაამყარა თავისებური რეკორდი, მან დაამარცხა მსოფლიოს ჩემპიონი, სსრ კავშირის ჩემპიონი და მოსკოვის ჩემპიონი.

ბევრისათვის გაუგებარი დარჩა მ. ბოტვინიკის, დ. ბრონშტეინისა და ე. სმისლოვის შედარებით მოკრძალებული შედეგები. შეიძლება თუ არა მათი შედეგები წარუმატებლობად მივიჩნიოთ? რასაკვირველია არა. ჩვენი ქვეყანა ნიჭიერ მოჭადრაკეთა დაუსრეტელი წყაროა. ყოველწლიურად იზრდება და სრულყოფილად ეუფლება საჭადრაკო ხელოვნებას ახალი თაობა. სწორედ ამიტომ გაუძნელდათ ბოტვინიკსა და მის კოლეგებს თამაში ტ. პეტროსიანთან, ე. გელერთან მ. ტაიმაზოვთან და ი. ავერბახთან, რომლებიც ახალი თაობის საუკეთესო წარმომადგენლები არიან.

თ. ბიოგრაფი



თამაშისათვის საჭიროა ორი ჯოხი (სიგრძით 4-5 მტკაველი) და პატარა ბურთი.

ბურთი უმჯობესია ბეწვით იყოს გატენილი.

მოთამაშენი მოედნის შუაგულზე ამოთხრიან ერთი მტკაველი სიგრძისა და ერთ ცილამდე სიღრმის ორმოს, რის შემდეგ განაწილდებიან ორ ჯგუფად და ყრიან კენჭს, თუ რომელმა ჯგუფმა უნდა დაიწყოს თამაში.

თითოეული ჯგუფიდან გამოდის ერთი მოთამაშე. ისინი ჯოხით ხელში დგებიან ორმოსთან მოპირდაპირე მხარეზე, ორმოდან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით.

დამწყები ჯგუფის მოთამაშე ბურთს დადებს მიწაზე და მას ჯოხით ორმოს მიმართულებით გააგორებს, რომ ორმოში ჩააგ-

დოს. თუ ბურთი ორმოს ასცდა და მოწინააღმდეგეთა მხარეზე გადაგორდა, ბურთის ჯოხით დახვდება მოწინააღმდეგე და ახლას გამოჭკრავს ორმოსაკენ. თუ მანაც ასცდინა ორმოს, ბურთის ისევ თამაშის დამწყები გაჭკრავს და ასე შემდეგ.

თუ ბურთმა ორმომდეც ვერ მიაღწია, მისი გამკვრელი ჩაჭრილია და გადის თამაშიდან, ხოლო ორმოში ბურთის ჩავარდნის შემთხვევაში ჩაჭრილია მოწინააღმდეგე.

ჩაჭრილი მოთამაშის ადგილს იკაუებს ჯგუფის სხვა მოთამაშე.

ასე გრძელდება თამაში, ვიდრე ერთ-ერთი ჯგუფის ყველა მოთამაშე არ ჩაჭრება. ასეთ შემთხვევაში ჯგუფი დამარცხებულია.

ზაპარია შპრაზადიშვილი

ცნობისმოყვარეთა კუთხე

სირიუსი

უახლოესი ვარსკვლავი სირიუსი დედამიწიდან დაახლოებით ოთხმოცი ათასი მილიარდი კილომეტრის დაშორებით იმყოფება. ამ მანძილის დაფარვა თვითმფრინავს შეუძლია მხოლოდ ოცდაათი მილიონი წლის განმავლობაში.

წყლამი და ხეაღმართი

დედამიწის ზედაპირის მთელ 510 მილიონ კვადრატულ კილომეტრ ფართობიდან, 361 მილიონი კვადრატული კილომეტრი ფართობი ზღვებსა და ოკეანეებს უჭირავს.

წყნარი ოკეანე ყველაზე ღრმა დედამიწაზე, კურილის, იაპონიისა და ფილიპინების კუნძულების ნაპირების გასწვრივ ოკეანის სიღრმე 10 კილომეტრზე მეტია, ხოლო ყველაზე ღრმა ადგილი აქ 10.830 მეტრს უდრის.

თოვლი ოთახში

წყლის ორთქლით ქარბად გაუღენთილ ჰაერის ძლიერ დაბალი ტემპერატურის დროს ორთქლი გადაიქცევა ხოლმე თოვლად ან ყინულად თხევად მდგომარეობაში წინასწარ გადასვლის გარეშე. ამ პროცესს სუბლიმაცია ჰქვია.

სუბლიმაციის ერთ-ერთი საინტერესო შემთხვევა აღწერილია XVIII საუკუნის მიწურულში.

პეტერბურგის ერთ-ერთი ასამბლეის საცეკვაო დარბაზი გაქედლი იყო ხალხით და ისეთი სიცხე და სულისხეუთვა იყო, რომ ზოგიერთ ქალს გულიც კი უღონდებოდა. მაშინ რომელიღაც კავალერიმა გატეხა ფანჯრის მინა. ქუჩიდან შემოქრილი გაყინული ჰაერისაგან დარბაზში ბარაკიანი თოვლი მოვიდა.

ოკეანის მარილი


ჩვეულებრივ ერთ კილოგრამ ოკეანის წყალზე მოდის 35 გრამი ხსნარი ნივთიერებანი—სხვადასხვა მარილები. შესაძლებელია რომ იყოს ოკეანის მთლიანი აორთქლება, მაშინ მისი ფსკერი დაიფარებოდა მარილის 60 მეტრის სისქის ფენით.

წყალმცენარეები

ზღვებსა და ოკეანეებში ითვლება დაახლოებით 10 ათასი სხვადასხვა სახის წყალმცენარე. ზოგი მათგანი ისე პატარაა, რომ შეიძლება მისი ნახვა ერთ წვეთ წყალში, მიკროსკოპის საშუალებით, ზოგიერთის სიგრძე კი რამდენიმე ასეულ მეტრს აღწევს. წყალმცენარეები ქმნიან მთელ წყალქვეშა ტყეებსა და ქალებს, რომლებშიაც ცხოვრობენ ზღვას უთვალავი მკვიდრნი: თევზები, კიბოები.

წყალმცენარეები ძვირფასი ნედლეულია მრეწველობისათვის, იგი იზმარება პირუტყვის საკვებადაც, მისგან ამზადებენ სასუქებს, წამლებს.

ასეთია მანძილი დედამიწასა და მთვარეს შორის



სიცოცხლის ხანგრძლივობა

არიან სულ უბრალო, ერთფერადიანი ცხოველები, რომლებიც ცხოვრობენ მხოლოდ ერთი საათი.

ამასთანავე არიან ცხოველები, მაგალითად, დიდი ნიანგები, ან ზოგიერთი გიგანტური კუ, რომლებიც 200-300 წლამდე ცხოვრობენ.

ასწლოვანი სიცოცხლე იშვიათი არაა ოკეანეთა მოზინადრეებისათვის. 80-100 წლამდე ცხოვრობენ ორაგულები, ქანარები, ლოქოები. ხოლო კალმახები ცხოვრობენ ბევრად მეტ ხანს.

ძუძუმწოვართა შორის სიცოცხლის ასეთი ხანგრძლივობა იშვიათია—ხუთ-ექვს ათეულ წელიწადს არ აღემატება. ძაღლის სიცოცხლის ხანგრძლივობა 30-35 წელიწადს არ აღემატება, და ისიც იშვიათ შემთხვევაში, მგლისა — 15 წელიწადს, ლომისა—35 წელიწადს, რუხი დათვისა — 50, ზოგიერთი მაიმუნისა—50-60, ცხენისა — 50 (იშვიათად-60), ქროხისა — 25, ცხვისა—15 წელიწადს.

ძუძუმწოვართა შორის მხოლოდ სპილოები ცხოვრობენ დიდ ხანს—150-200 წელიწადს.

წითელი ბურთულები

ადამიანის სხეულში უანგზადისა და ნახშირუანგის გადამტანია სისხლის წითელი სხეულები ერითროციტები (რაც ნიშნავს: „წითელი ბურთულები“).



ერთ წვეთ სისხლში დაახლოებით 5 მილიონი ერითროციტია. ხოლო სულ ადამიანის მთელ სისხლში იმდენი „წითელი ბურთულაა“, რომ თუ მათ ერთიმეორის გვერდით ჩავამწყრივებთ, მაშინ მიღებული ჯაქვით შეიძლება მთელი დედამიწის ბირთვისათვის 4-5-ჯერ შემოგვეხვია იგი.



პასუხები

ჟურნალ „პრონეჩის“ № 11-ში მოთავსებული
გამოცანებისა და თავსატეხების პასუხები

გ ა ს ა რ თ ლ ი



თავსატეხზე — ყვავილები დალაგდება ისე,
როგორც ამ ნახატზეა ნაჩვენები.



ჩაქუჩი და ნამგალი მოიხაზება ისე, როგორც
ამ ნახაზზეა ნაჩვენები.

გამოცანებზე: 1. სანთელი, 2. საფუტყრე.

ამ ვარსკვლავზე აღნიშნულ 10 წრეში თანა-
მიმდევრულად ჩასვით რიცხვები 646-დან
655-მდე ჩათვლით ისე, რომ ვარსკვლავის
შემადგენელი თითოეული სამკუთხედის
კუთხეებში ჩასმული 3 რიცხვის ჯამი უდ-
რიდეს ახალი წლის აღმნიშვნელ რიცხვს—
1952-ს.

მ ი ნ ა ა რ ს ი


მ. სურგულაძე — აი რას ვდარაჯობ	1	მ. ჩიხლაძე — სამგორზე იორი მოედინება	21
ა. ადამია — ზეზუ ჭაბუკაძე	2	ა. ონელი — მოგზაურები	24
ო. კარაიანი — მამა	6	ბ. თაფინი — ს. მგალობლიშვილი	25
რ. ბარათელი — მეგობრების მიმოწერა	7	ვ. გეგუჩაძე — დიდი ქიმიკოსი	27
ჟ. ილმურადოვი — მასწავლებელ ქალს	9	ო. პეტრიაშვილი — კუნძული ტაივანი	28
ბ. ბარდაველიძე — პური	10	გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვ- ნის ა. გიგოლაშვილს	
ა. გაიდარი — სკოლა	11	გარეკანის მეოთხე გვერდზე — ა. ხალიფის ფო- ტოსურათი — ლ. პ. ბერეას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ავიაგამოდე- ლისტა ლაბორატორიაში.	
ა. ლომიძე — მენჯი — ქართული მაცესტა	16		
მ. დემეტრაძე — ფრედერიკ ჟოლიო-კაუზრი	17		
შ. ამისულაშვილი — პიონერები სამგორში	18		
ბ. კაჭახიძე — მოსაგონარი	19		
ფ. თოფურია — მწერალი — ბოლშევიკი	20		

რედაქციათი ბ. ქ ა შ ა ხ ი ძ ე. საბრძოლველთ კოლეგია: ე. აბლაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. მარ-
დიანიშვილი, ბ. თავაშვილი, გარეკანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. ზემბელია.
პასუხისმგებელი მდივანი ვ. თოფურია. საშეჯავრთ რედაქციათი ბ. ფოცხიშვილი.


რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

შე 0063 ტირაჟი 15,000 გამომცემლობის შეჯ. № 595 სტამბის შეჯ. № 1336

დ. პ. ბერეას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14
ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტ-მანქანაზე.



ჩვენი კალენდარი



სტალინური კონსტიტუცია

მილიონობით საბჭოთა ბავშვები სწავლობენ სკოლებში, ამისათვის მათი მშობლები ფულს არ იხდიან. სწავლის უფლება ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში. მილიონობით საბჭოთა ბავშვები ზაფხულობით ისვენებენ პონერეთა ბანაკებში, მათი მშობლები — კურორტებზე, სანატორიუმებში. დასვენების უფლება ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში. თქვენი დედები და მამები, უფროსი დები და ძმები მუშაობენ ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნობებში, დაწესებულებებში. შრომის უფლება ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში.

სტალინური კონსტიტუცია ყველაზე დემოკრატიული კონსტიტუციაა მსოფლიოში. მიწის წიაღისეული, ფაბრიკა-ქარხნები, ტრანსპორტი, ქალაქები, მდინარეები და ზღვები, — ყველაფერი, რაც ჩვენს დიად სამშობლოშია, — ხალხს ეკუთვნის. ეს ჩაწერილია სტალინურ კონსტიტუციაში, რომლის მიერ დადგენილი და გარანტირებულია საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლება, შრომის, განათლების, დასვენების, სიბერისა და ავადმყოფობის დროს უზრუნველყოფის უფლება, ქალთა თანასწორ უფლებანიშნაობა, სიტყვის, პრესის, კრებების თავისუფლება. მადლიერმა საბჭოთა ხალხმა ამ კონსტიტუციას უწოდა მისი შემოქმედის დიდი სტალინის სახელი. სტალინური კონსტიტუცია 15 წლის წინათ — 1936 წლის 5 დეკემბერს, დაამტკიცა საბჭოების სრულიად-საკავშირო საგანგებო VIII ყრილობამ. ჩვენი ხალხი ყოველწლიურად ზეიმით აღნიშნავს სტალინური კონსტიტუციის დღეს — 5 დეკემბერს.

ვ. მახარაძე

ათი წლის წინათ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე ფილიპე ესეს ძე მახარაძე.

ფილიპე მახარაძე დაიბადა 1868 წ. სოფ. შემოქმედში. 10 წლისა მიიბარეს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სასულიერო სემინარიაში. აქ მოსწავლეთა გაფიცვაში მონაწილეობისათვის სემინარიიდან გარიცხეს. იგი შევიდა ვარშავის ვეტერინარულ ინსტიტუტში. იქვე შედის სტუდენტთა მარქსისტულ წრეში.

1903 წელს ფილიპე მახარაძე მონაწილეობას იღებდა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების კავკასიის პირველ ყრილობაში. იგი არჩეული იყო კავკასიის კავშირის კომიტეტის შემადგენლობაში. უფრო გვიან ბოლშევიკური ბიუროსგან გაგზავნილი იყო დელეგატად 1917 წლის ცნობილ აპრილის კონფერენციაზე, რომელზედაც მოხსენიებით გამოვიდნენ ლენინი და სტალინი.



საქართველოში მენშევიკური ხელისუფლების პერიოდში ის არაღლეალურ რევოლუციურ მუშაობას ეწეოდა. რევოლუციური მოღვაწეობისათვის ფილიპე მახარაძე დევნასა და შევიწროებას განიცდიდა ჯერ მეფისა და მერე მენშევიკური ხელისუფლების მიერ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ ხანებში ფილიპე მახარაძე იყო საქართველოს რევკომის თავმჯდომარე, შემდეგ იყო საქართველოს ცაკის თავმჯდომარე, ამიერკავკასიის რსფსრ სახელმწი-

ფო თავმჯდომარე კომისიის თავმჯდომარე, საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე; იგი 1931 წლიდან სიკვდილამდე იყო საქართველოს ცაკისა და შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. 1938 წლიდან იყო აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე. ის დაჯილდოებული იყო ლენინის ორდენით.



ა. ფადევი

ბევრ თქვენგანს წაუკითხავს რომანი „განადგურება“, ხოლო მისი ნაწყვეტი („მეტელიცა“) გისწავლიათ კიდევ სკოლაში. ეს რომანი ეკუთვნის გამოჩენილ საბჭოთა მწერალს ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ფადევს, რომლის დაბადების 50 წელი შესრულდა 24 დეკემბერს.

ა. ფადევი დაიბადა ტვერის გუბერნიაში. ბავშვობა და ყრმობა გაატარა შორეულ აღმოსავლეთში. სწავლობდა კომერციულ სასწავლებელში ქ. ვლადივოსტოკში. 1918 წელს 17 წლის ახალგაზრდა შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. სამოქალაქო ომის დროს მონაწილეობდა პარტიზანულ მოძრაობაში, მსახურობდა თეთრ-გვარდიელ კოლჩაკისა და იპონელ ინტერვენტთა წინააღმდეგ მებრძოლი წითელი არმიის ნაწილებში. დიდი სამამულო ომის პერიოდში დაწერა უცვდავი რომანი „ახალგაზრდა გვარდია“, რომელიც ახახავს გმირ კრასნოდონელ კომკავშირელთა თავგანწირულ ბრძოლებს გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ, სამშობლოს თავისუფლებისათვის. ამ რომანმა პირველი ხარისხის სტალინური პრემია მიიღო და ავტორს ფართო პოპულარობა მოუხვეჭა სამშობლოში და მის გარეთაც.

საბჭოთა ახალგაზრდობის საყვარელი მწერალი ა. ფადევი სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გენერალური მდივანია.

23/17



3. 19/155

